# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 ნოემბერი 2002 №215 (1737) ფასი 50 თეთრი


# ჩაშლაც სამობითაა?
## ქორდანიას ეროვნული ჩამოზესტაფონდა

საქართველოს ჩემპიონატში მოხდა ის, რაც აქამდე არასდროს მომხდარა — ლიდერი „ვიტ ჯორჯია" გახლავთ. თუმცა ეს მხოლოდ სტატისტიკაა და სხვა არაფერი.

ევებ უფრო საინტერესო ის იყოს, რომ „დინამო", ივო შუშკის ხელში ლამის დაუმარცხებელ გუნდად რომ მოჩანდა, ზედიზედ მეორედ დამარცხდა თბილისურსავე დერბიში, ამჯერად „ლოკომოტივთან", ვისთანაც წინა სეზონში თასზეც წააგო. ისე, ასაფორიაქებელი ამბავი არც ესაა და კაცმა რომ თქვას, დინამოელთა ამ მარცხით ჩემპიონატს ინტრიგაც მოემატა.

სათქმელი და საგანგაშო კი სხვა რამ გახლავთ. საქართველოს ჩემპიონატმა თავის დროზე აფხაზეთის ომიც გამოიარა და სამოქალაქოც, გუნდები ტყვიის კაკანშიც დადიოდნენ სათამაშოდ და ძნელი გასახსენებელია, მატჩი გუნდის გამოუცხადებლობის გამო რომ ჩაშლილიყოს.

ახლა კი რა ხდება: გვარწმუნებენ, ქართული ფეხბურთის საქმე ალმა მიდისო და მეთოთხმეტე ეროვნულში აღნიშნული მიზეზით უკვე მეორე თამაში ჩაიშალა. გეხსომებათ, ადრე მერანელებმა უხელფასობის გამო რუსთავში თამაში იუარეს და ამავე მიზეზით კვირას ზესტაფონის „მეტალურგი" არ ჩავიდა ქუთაისში. ისიც მოგეხსენებათ, ზესტაფონელები უპრეზიდენტოდ რომ დარჩნენ და უთავოდ დარჩენილები ფულს საიდან იშოვიდნენ.

დღეს ჩაშლილი თამაშები შეიძლება გასამდეს — „დილასთან" შეხვედრის წინ „მერანი" კვლავ უფულოდაა.

ასეთ დროს თვალი და ყური ფედერაციისკენ გვეჭირავს და მის გადაწყვეტილებას ველით. თითქოს ყველაფერი მარტივადაა — დებულება უფულო და თამაშნაუარები კლუბის ჩემპიონატიდან მოკვეთას ითხოვს, რაც საკამათო არც უნდა იყოს, მაგრამ სეზონის წესიერად ვერჩასრულების მერე ხომ ქართული ფეხბურთის წინსვლაზე ლაპარაკი უხერხული გახდება? არადა, დებულების დაცვა ქართულ ფეხბურთში მოსაქმეებს მხოლოდ კანონის პატივისცემას თუ აიძულებს, თორემ გამოსავალი სულაც არ იქნება



ლოკომოტივი — დინამო 1:0. რატი ალექსიძემ მოხდენილად, მაგრამ უშედეგოდ დაარტყა

# უხერხულია, იყოთ მეოთხე
## ქალებმა დაგვაშამათეს, ვაჟებმა ივაჟკაცეს



ნონა გაფრინდაშვილი: ქართული ჭადრაკის დედოფლისათვის მეოთხეობა, ცხადია, გასაკვირია

ბლედის საჭადრაკო ოლიმპიადა დასრულდა და გულახდილად რომ ვთქვათ, ჩვენი ქალთა ნაკრების გამოსვლის ჩავარდნად შეფასება, ცოტა არ იყოს და, გვეუხერხულება. ერთი რომ, გუნდის მთავარი ბირთვი იმდენ ხანს იყო კვარცხლბეკზე, არ აღფრთოვანდე, უმადურობაა და ამასთანავე მსოფლიოს საჭადრაკო ერებს შორის მეოთხეობა თავისთავად ურიგო შედეგი არ არის. მაგრამ, მეორე მხრივ, მეოთხე ადგილი ის არ არის, რასაც ჩვენი ქალებისგან ველოდით და რასაც თავად შეგვაჩვიეს. უმადურობა კი მათ არასდროს უგრძვნიათ.

ერთი სიტყვით, ამ ოლიმპიადამ დიდი იმედგაცრუება მოგვიტანა. მით უფრო, რომ დასრულებამდე სამი ტურით ადრე ჩვენ ქალებს იმხელა უპირატესობა ჰქონდათ, წყლისთვის გატანება წარმოუდგენლად ჩანდა. მაგრამ ასე მოხდა — სამი მოსაგები მატჩი წააგეს და მეორე-მესამეობას ვინლა ჩივის, სულაც უმედლოდ დარჩნენ.

თავი ქუდში ნაადრევად დაიგულეს და ეს ამბავი ამიტომაც დაემართათ თუ სხვა რამ მიზეზი იყო, ალბათ თავადვე იტყვიან, ჩვენ კი გვირჩევნია, წლევანდელი მეოთხეობა უიღბლობას ან მართლაც ხანმოკლე ჩავარდნას მივაწეროთ, ვიდრე ღრმა კრიზისის დაწყებას.

ქალთა მარცხით განცდილი სინანული კი ჩვენმა ვაჟებმა რამდენადმე გაგვიქარვეს. ქართული ვაჟთა ჭადრაკისთვის ასევე მეოთხე ადგილი კარგი შედეგია და გული იმაზე თუ გვწყდება, რომ ბოლო ტურის წინ არსებული ვითარებისა და მეტოქის ძალის გათვალისწინებით მესამეობა წარმოუდგენელი არ იყო.

# ჟორდანიამ წილებზე ილაპარაკა

## არველაძის ახალგაზრდული მოწონებულია

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას უცხოეთში ყოფნისას ქართულ ფეხბურთში რამდენიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა: გადაწყდა, რომ საქართველო — რუსეთის ჩაშლილი მატჩი 30 აპრილს თბილისში გაიმართება; გამოქვეყნდა ფეხბურთის ფედერაციის ახალი წესდების პროექტი; თბილისისა და იმერეთის რეგიონული ფედერაციების თავკაცებმა თანამდებობები დატოვეს; „მეტალურგი“ სათამაშოდ ქუთაისში არ ჩავიდა; აგორდა ხმა ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად რევაზ არველაძე დაინიშნაო; ეროვნულ სტადიონს ბადრი პატარკაციშვილი ყიდულობსო. ერთი სიტყვით, თბილისში დაბრუნებულ ფედერაციის თავკაცს სათქმელი დაგროვებოდა და გუშინ პრესკონფერენციაც გამართა.

— შვეიცარიაში ვიზიტამდე რამდენიმე დღით მოსკოვში შევყოვნდი და ერთხელაც დავრწმუნდი, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირი გადათამაშების თბილისში გამართვის წინააღმდეგი არ იყო — თქვა მერაბ ჟორდანიამ — ვიაჩესლავ კოლოსკოვს შევხვდი და მხოლოდ ამის შემდეგ გავემგზავრე უეფაში. სწორედ ჩემი იქ ყოფნისას დადგინდა გადათამაშების საბოლოო თარიღიც — 30 აპრილი. მატჩი თბილისში ჩატარდება. თუმც სანუგეშო არაფერი გვაქვს, როცა საქმე ამ გადათამაშებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ეხება. რუსეთის ნაკრების ჩამოსვლის ხარჯებით დაწყებული, მათ გამგზავრებამდე ყველაფერი ჩვენი გადასახდელია. დღესდღეობით კი უშიშროების სამინისტროს საგამომძიებლო სამსახურის დასკვნას ველით. ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს, მატჩი ტექნიკური მიზეზით ჩაიშალა თუ მავანის სამსახურებრივი გულგრილობის გამო. როგორც კი დასკვნას მივიღებთ, დამნაშავესთანაც მაშინვე შესაბამისი ურთიერთობა გვექნება. მატჩის ჩაშლისთვის უეფასგან სანქციებს აღარ უნდა ველოდოთ, არც რუსებს აქვთ ჩვენდამი პრეტენზია, არც ჩვენ რუსებისადმი. ფედერაცია ისედაც საკმაოდ დაზარალდა. რუსეთის ნაკრების მწვრთნელ ვალერი გაზაევის გამონათქვამები, თბილისში არ ვითამაშებთო და მისთანები, მის ემოციურ ხასიათს დავაბრალოთ. გაზაევს თბილისში ბევრი მეგობარი ჰყავს. მასთან მხოლოდ მეგობრული პრეტენზია თუ გვექნება.

— რევაზ არველაძის ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დანიშვნაზე ლაპარაკი უსაფუძვლო არ არის. ვფიქრობ, უკეთესი იქნება, ახალგაზრდულ გუნდს ამ ეტაპზე არველაძე თუ ჩაიბარებს, ვახტანგ კოპალეიშვილს კი სხვა სამსახურს გამოვუნახავთ. არველაძის დანიშვნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არაა მიღებული, ეს აღმასკომის პრეროგატივაა, რომლის ჩატარებაც ამ თვეში გვაქვს დაგეგმილი და სხვა საკითხებთან ერთად ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელის დანიშვნაზეც ვისაუბრებთ. არველაძეს უკვე საკმაო თეორიული ცოდნა დაუგროვდა და დროა, პრაქტიკული სამუშაო მივცეთ.

— აღმასკომის უახლოეს სხდომაზე ასევე გადავწყვეტთ, როდის გაიმართოს ფედერაციის ყრილობა, რომელზეც შენიშვნების გათვალისწინებით ახალ წესდებას დავამტკიცებთ. ყრილობის ჩატარებას იანვარ-თებერვალში ვგეგმავთ.

— ვერ გეტყვით, რატომ დატოვეს თავიანთი პოსტები იმერეთისა და თბილისის რეგიონული ფედერაციების პრეზიდენტებმა. ალბათ, იმიტომ, რომ ისინი ჩვენი გუნდის წევრები არ არიან და ეს ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებისას გამოჩნდა. თუმც, მიუხედავად ამისა, ჩვენი მხრიდან მათზე არანაირი ზეწოლა არ ყოფილა. პრეზიდენტების წასვლა ტრაგედია არც არის, მათ სხვები შეცვლიან. იმერეთში უკვე ჩატარდა არჩევნები და გარი სორდიამ გაიმარჯვა, თბილისის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას კი დროებით ნუკრი კაკილაშვილი შეასრულებს. ჩვენ მათ ყოველმხრივ დავეხმარებით.

— გუნდების ტურის მატჩებზე გამოუცხადებლობა, რა თქმა უნდა, აზიანებს ეროვნულ ჩემპიონატს და ფედერაციის ავტორიტეტზე ასეთი ფაქტები უარყოფითად მოქმედებს. ზესტაფონის „მეტალურგის“ ქუთაისში ჩაუსვლელობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას სადისციპლინო კომიტეტი მიიღებს და პირველ ყოვლისა ჩემპიონატის დებულებით იხელმძღვანელებს. თუკი რამ ხელჩასაჭიდი იქნება, შევეცდებით, ეს გამოვიყენოთ და „მეტალურგი“ ჩემპიონატს არ ჩამოვაშოროთ. კარგი იქნება, „მერანი“ და „მეტალურგი“ გუნდებს თუ შეინარჩუნებენ. ფედერაციას რომ მათი საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თავადაც კარგად იციან.

— ფეხბურთის ფედერაცია უკვე ისეა ფინანსურად მომძლავრებული, რომ საგადასახადო სამსახურმა მსხვილ გადამხდელებში გაგვაერთიანა. ყადაღა პრობლემა აღარ არის, საგადასახადოსთან ურთიერთობა მოვაწესრიგეთ.

— საქართველოს ნაკრებისთვის 2003 წლის ამხანაგური მატჩების კალენდარი საბოლოოდ შემუშავებული არ გვაქვს. ვეჭვობ, ერთ ამხანაგურ შეხვედრაზე მეტის გამართვა მოვახერხოთ. გაისად ისეც შვიდი ოფიციალური თამაში გველის, თუმც ვეცდებით, კლუბების ნაკრებს რამდენიმე მატჩი გავუხერხოთ.

— თებერვალში კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე მონაწილეობა კი გვსურდა, მაგრამ შეიძლება, იქ რუსებმაც ითამაშონ და 30 აპრილის მატჩამდე მათთან შეხვედრა, არა მგონია, სასარგებლო იყოს. ალბათ ისევ ესტონელებს გავეჯიბრებით, მათთან თამაშზე თურქეთთან შეხვედრის გამო უარი ვთქვით.

— ფეხბურთის ფედერაცია, რა თქმა უნდა, მიესალმება ყველას, ვისაც კი ეროვნული სტადიონის მოვლა-პატრონობა, გაახლება სურს, ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ. ფედერაცია სააქციო საზოგადოების ხუთპროცენტიანი მოწილეა. ის 22 ათასი სკამი უეფას ფულითაა დამონტაჟებული და ამ ვალს, მილიონ შვეიცარიულ ფრანკს, უეფას დღემდე ნელ-ნელა ვუსტუმრებთ. ამიტომაც, თუ სტადიონის ახალ პატრონზე სერიოზული ლაპარაკი იქნება, ამის თაობაზე ფედერაცია ვალდებულია, უეფას აცნობოს და მის შესაბამის რეკომენდაციას დაელოდოს. წილების გადანაწილება კი ბევრნაირად შეიძლება.

— დარწმუნებული ვარ, ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპი გაცილებით დაძაბული, საინტერესო იქნება და ქომაგსაც მიიზიდავს. ნელ-ნელა წინ მივიწევთ, ჩემპიონატის დონე საგრძნობლად ამაღლდა. ეს წინაპირობაა იმისა, რომ ეროვნულ გუნდში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელები უფრო მეტნი იქნებიან. ნაკრებისთვის ასე უკეთესია.

**ძოგა ინასარიძე**

---

საქართველოს ჩემპიონატი 14 უმაღლესი ლიგა პირველი ეტაპი

# 16 ტური

თბილისი. 11 ნოემბერი. 15 საათი. შევარდენი. 500 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 4:0 ბათუმი

1:0 ქოქიაშვილი (16), 2:0, 3:0, 4:0 მელქაძე (25, 86, 88)

| ვიტ ჯორჯია | ბათუმი |
| --- | --- |
| მერლანი, კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი, მუჯირი, ლ. ნოზაძე, ვ. გოჩაშვილი (ბერელიძე 81), გველესიანი, ციციანი (დ. დოლიძე 74), ქოქიაშვილი (დილმელაშვილი 65), ადამია, მელქაძე | ი. ბალაძე, მინდაძე, მაჭუტაძე, ხუჯაძე, არჩვაძე, კობიძე, თურმანიძე (მახარაძე 59), ქაცარავა, ტულუში, დარჩიძე, გ. მოდებაძე |
| სათადარიგონი: ჭურაძე, იმნაიშვილი, ფეიქრიშვილი, ე. მერებაშვილი | სათადარიგონი: ტოგონიძე, ნემსაძე, ბეჟანიძე, სურმანიძე, კუჭულია, ცინარიძე |
| მწვრთნელი: ჯანი კარნევალი | მწვრთნელი: ახლან ბალაძე |

გაფრთხილება: ტულუში (58), დილმელაშვილი (78), ადამია (87)

მსაჯები: ა. შილაკაძე ი. შალამბერიძე (ორივე თბილისი), გ. ჩიკოვანი (სამტრედია); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

ჯარიმა: 22-14; კუთხური: 10-2; კარისკენ დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 10-1; თამაშგარე: 2-7

# ჯორჯია ცაციაზე დადგა

**მამუკა ძგანტალიანი**

**ძნელად** თუ გაგვახსენდება ის დღე, როცა „ბათუმმა“ „ვიტ ჯორჯიას“ სძლია. შინ თუ სტუმრად ვიტელები სისხლს უშრობენ ბათუმელებს და ეს ტრადიცია არც გუშინ დარღვეულა. ვეტერინარებმა ძალების დაუძაბავად ოთხი უპასუხო გოლი გაუტანეს სტუმრებს. მეტი შეეძლოთ, მაგრამ აჭარლები ხან მეკარე ირაკლი ბალაძემ გადაარჩინა, ხანაც კარის ძელები და მასპინძელთა უზუსტობა იყო მათი მშველელი.

პატრონგამოჩენილ „ბათუმს“, გუშინ „შევარდენზე“ ახალთახალი სათამაშო ეკიპირებით რომ წარსდგა, გასატანად ერთადერთი რეალური მომენტი ჰქონდა. მეორე ტაიმის შუაწელში ქაცარავა მერლანის სიახლოვეს ხელსაყრელ პოზიციაზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი დარტყმული ბურთი მასპინძელთა მეკარემ უკუაგდო. კიდევ ერთი მომენტი, რამაც სტუმართა პროტესტი გამოიწვია, დარჩიძემ შექმნა. ბათუმელმა ნახევარმცველმა კობიაშვილის და მერლანის გაუგებრობით ისარგებლა და მცველთან ჭიდილში წაიქცა. მსაჯმა ალექსანდრე შილაკაძემ ზედ საჯარიმოს ხაზზე ჯარიმა დააფიქსირა. სტუმრები კი პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ არაფერი გაუვიდათ.

იმ დროისთვის ვეტერინარებს თამაში უკვე გაკეთებული ჰქონდათ. ადრე გატანილს კიდევ ორიც მიუმატეს მასპინძლებმა. აღსანიშნავია, რომ ვიტელებმა, ქოქიაშვილმა და მელქაძემ, ოთხივე გოლი ცაციათი შეაგდეს.

თამაშში მხოლოდ პირველი ათი წუთი იყო ისეთი, როცა „ბათუმმა“ მასპინძელს ჯეროვანი წინააღმდეგობა გაუწია. მერე სიჩქარეს უმატეს კარნევალის ბიჭებმა და სტუმართა უკანა ხაზიც აირია. დროის მცირე მონაკვეთში ირაკლი ბალაძემ სამჯერ მოახერხა თანაგუნდელთა გადარჩენა, მაგრამ მეოთხედ ქოქიაშვილის ოცდახუთიოდე მეტრიდან ძლიერად და ზუსტად გასროლილს ვერაფერი მოუხერხა. ბურთი მარცხენა დაბალ კუთხეში შევარდა.

ვეტერინარებმა დაწოლა გააძლიერეს და მორიგი კუთხურისას სტუმართა ახალგაზრდა მეკარეც შეცდა. კარიდან გამოსული ბალაძე ბურთს ვერ შესწვდა, ერთხელ მცველებმა კარის ხაზიდანაც გამოიტანეს ბურთი, მაგრამ მეორედ მელქაძის დამატებულს ვერაფერი მოუხერხეს და ბურთმა ერთხელაც შეარხია სტუმართა კარის ბადე.

მეორე ტაიმში მასპინძლებმა თავი დაიარხეინეს. თითქოს „ბათუმს“ ამით უნდა ესარგებლა კიდეც, მაგრამ თუ დასაწყისში ნახსენებ მომენტს არ ჩავთვლით, ვიტელთა მეკარეს საქმეც არაფერი ჰქონია.

ვიტელებს გატანა კი მართებდათ, ჯერ ყიფიანმა ჯარიმიდან ოსტატურად მოჭრა ბურთი და ძელს გაარტყა, მერე კი მელქაძემ დაუხვედრა ცაცია ადამიას კარის გასწვრივ ჩაწოდებულს და ისევ ძელს ეძგერა ბურთი.

ვეტერიანართა ბომბარდირმა თავისი მაინც გაიტანა, თანაც ერთი არ იკმარა, ჰეთ თრიქი შეასრულა. მელქაძემ ჯერ მარცხნიდან საჯარიმოში შეჭრილმა შორეულ კუთხეში აულებელი დაურტყა ბალაძეს, მერე სტუმართა საჯარიმოში შუიდან შეაღწია, გზად მცველი გააბითურა, მეკარეც მოძრაობაზე დაიჭირა და საქმეც საბოლოოდ დაასრულა.

ნამატჩევს „ვიტ ჯორჯიას“ იტალიელ თავკაც **ჯანი კარნევალის** უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ ჰქონდა, მაგრამ რამდენიმე მოთამაშეზე განაწყენებული ჩანდა, ნაადრევად მოეშვნენ, მეტოქეს თამაშის საშუალება მისცესო. „ათი წუთი გაგვიძალიანდა „ბათუმი“, მერე კი თამაშს უპრობლემოდ ვაკონტროლებდით, გატანილი გოლების გარდა, რამდენიმე რეალური შანსიც გავანიავეთ. ეს არ იყო პრინციპული მატჩი, თუმც ყველა მეტოქესთან ბოლომდე რომ უნდა იბრძოლო, ეს ცალკეულმა მომენტებმაც ცხადჰყო.“

**ახლან ბალაძის** პრობლემა კი ყველასთვის ცნობილია, „ბათუმმა“ მოსამზადებელი ეტაპი უსახსრობის გამო ჩააგდო. პატრონ-მყვარებელი კი სულ ახლახან გამოჩნდა და ასე უცებ გუნდს რა გარდაქმნიდა? ბალაძე რამდენიმე ფეხბურთელს, ძირითადად ახალგაზრდებს, უჩიოდა — მეტი მონდომება და თავდადება მართებთო.


ლევან მელქაძე სამჯერ საგოლედ მოიჭრა

---

# მერანს ფულს აჩვენებენ და მოსთხოვენ

**დღეს** გორის „დილა“ მშობლიური ქალაქიდან რამდენიმე საათით დედაქალაქისკენ გამოემგზავრება და „სინათლის“ სტუმარი იქნება. დახვდება თუ არა მასპინძელი, ითამაშებს თუ არა „მერანი“, ეს გუშინ ავჭალაშიც არავინ იცოდა.

კლუბის თავკაც ანზორ მამალაძის გაცემულ გარანტიას ვადა 10 ნოემბერს, საღამოს რვა საათზე გაუვიდა. „მერანის“ მწვრთნელ-ფეხბურთელებს კი კუთვნილი არ მიუღიათ. ფული „სინათლეზე“ არც გუშინ დარიგებულა, სამაგიეროდ, გაჩნდა კიდევ ერთი ახალი დაპირება და კეთილი მომავლის იოტისოდენა იმედი.

10 ნოემბრის საღამოს ანზორ მამალაძემ ნავარჯიშები გუნდი გარს შემოიკრიბა და ასეთი რამ განაცხადა: „დღეს კუთვნილს ვერ გირიგებთ, მაგრამ 12 ნოემბერს „დილასთან“ მატჩის დაწყებამდე კლუბის ახალ მეპატრონეებთან წარგადგენთ. ისინი ფულს გაჩვენებენ, მაგრამ ერთ პირობასაც წამოგიყენებენ, თამაში აუცილებლად უნდა მოიგოთ. გამარჯვების შემთხვევაში კუთვნილს უდანაკარგოდ მიიღებთ, არადა...“

„მერანის“ თავკაცს არ დაუკონკრეტებია, რა მოხდება თუ დღეს ავჭალელებმა წაიფორხილეს. ამან ფეხბურთელები ძალიან გაანაწყენა, ისინი იმაზეც ვერ შეთანხმდნენ, დღეს როგორ მოიქცევიან. ყოველდღიურად კუთვნილის მოლოდინში და ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონზე სახიფათო ზონაში მყოფი გორელების წაქცევაც ერთობ გაჭირდება. „დილა“ ის გუნდია, რომელიც განსაკუთრებით არ ბრწყინავს, მაგრამ სტუმრად გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ.

„მერანში“ ახალი სპონსორის მოსვლის ამბავი ორი დღის წინ გადაწყდა. მისი ვინაობა ჯერაც გასაიდუმლოებულია და ცოტა უცნაური პირობით კი მოდის ის ღვთისნიერი, თუმც, დაგვეთანხმებით, სულ არაფერს ეს ვარიანტი გაცილებით სჯობს.

სარწმუნო წყაროებიდან ისღა შევიტყვეთ, რომ ავჭალელთა მფარველი, სავარაუდოდ, ქართველია. მანამდე შანსი ყოფილა „მერანი“ თურქ ბიზნესმენებს შეესყიდათ, მაგრამ მათ ფეხბურთელთა ხელფას-პრემიების სანაცვლოდ კლუბი, სტადიონი, ბავშვთა საფეხბურთო სკოლა — ყველაფერი ერთად მოსურვებიათ. ასეთ მცირე თანხად თურქებს თითქმის ნახევარ ავჭალას ხელში ვინ ჩაუგდებდა და მოლაპარაკებებიც ჩაშლილა.

**მამუკა ძგანტალიანი**

---

თბილისის „ლოკომოტივი“
სამძიმარს უცხადებს
კლუბის მენეჯერ
ლევან ყიფიანს
ბებიის
გარდაცვალების გამო

თბილისის „დინამო“
სამძიმარს უცხადებს
„ლოკომოტივის“ მენეჯერ
ლევან ყიფიანს
ბებიის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაცია თანაუგრძნობს
„ლოკომოტივის“ მენეჯერ
ლევან ყიფიანს
ბებიის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის
ფედერაცია იუწყება, რომ
გარდაიცვალა ცნობილი მსაჯი
ბარლო ყრუაშვილი
და თანაუგრძნობს
განსვენებულის ოჯახს

თბილისის „დინამო“
მწუხარებით იუწყება
ცნობილი მსაჯის
ბარლო ყრუაშვილის
გარდაცვალებას და
სამძიმარს უცხადებს
განსვენებულის ოჯახს

**სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!**
დღეს, 13 საათზე დიღმის
საწვრთნელ ბაზაზე
თბილისის „დინამო“
გამართავს
პრესკონფერენციას

# დინამო ცენტრში გატყდა

## ცაკარიასმა შუშაკი მოიფიქრა





დავით სირაძის გოლმა ლუის ცაკარიასს „დინამო“ წააქცევინა

**კობა ინასარიძე**

ესეც „დინამოს“ მეორე თბილისური — ხორვატი ივო შუშაკის შეგირდები წინა ტურში „ეროვნულზე“ „ვიტ ჯორჯიასთან“ დამარცხების შემდეგ, „ლოკომოტივმაც“ უქულოდ დატოვა. აღსანიშნავია, რომ უცხოელი მწვრთნელის „დინამომ“, ასევე უცხოელთა დამოძღვრილ გუნდებთან წააგო.

კვირას „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოთამაშე „დინამო“ წინა ოთხშაბათს „ვიტ ჯორჯიასთან“ შეხვედრისგან ბევრად არც განსხვავდებოდა. იმ შემადგენლობისგან „დინამოს“ ძირითადის ორი ფეხბურთელი კი აკლდა, დისკვალიფიცირებული დარასელია და ტრავმირებული კარლოსი, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერის თამაშზე ამას მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

„დინამო“, ისევე როგორც ვიტელებთან მატჩისას, „ლოკომოტივთანაც“ თითქოს დამძიმებული იყო, გადაღლილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ანჩაბაძესა და ბურდულს არც ამჯერად წაუვიდათ თამაში, გუნდსაც არაფერი გამოსდიოდა. სახიფათო მომენტები სტუმრებმა რკინიგზელთა კართან რამდენჯერმე კი შექმნეს, თანაც საგოლედ რეალური, მაგრამ გაცუდებული მომენტები რომ მატჩს იგებდეს, „დინამო“ ვერც ამით აჯობებდა მასპინძლებს.

„ლოკომოტივის“ პერუელმა თავკაცმა ლუის ცაკარიასმა მეტოქეს ერთბაშად ექვსი ნახევარმცველი დაუპირისპირა და ერთგვარად თავის ვიტჯორჯიელი კოლეგის ნაბიჯი გაიმეორა. ცაკარიასმა თავდასხმაში ზაზა ჯანაშია ეულად განამწესა, მის უკან პერუელი გალიარდო, უფრო უკან კი სირაძე და ლაცაბიძე საყრდენად — კვარაცხელია. ფლანგები ბურნაძე-ონიანისა გახლდათ. სწორედ შუა ხაზში ზუსტი, თითქმის უშეცდომო და აგრესიული თამაში გახლდათ გადამწყვეტი. შუა მოედნის ნებისმიერ მონაკვეთში მასპინძლები მეტნი იყვნენ და მეტოქეს გასაქანს არ აძლევდნენ. მართალია, „დინამომ“ პირველ ტაიმში რამდენჯერმე ისარგებლა რკინიგზელთა დაცვის შეუთანხმებლობით, ბობოხიძე და ალექსიძე ახლოსაც იყვნენ მიზანთან, მაგრამ შეცდომას თავად მასპინძლებივე ასწორებდნენ და ბურთს ლომაიამდე ელობებოდნენ.

ნაკლებად აქტიური, თუმც ძალიან სახიფათო იყო ზაზა ჯანაშია. წონამომატებული სისწრაფით მეტოქეთ ვერ სჯაბნიდა, სამაგიეროდ, პოზიციის უკეთ შერჩევისა და ლონის ხარჯზე დინამოელები გვარიანად აანერვიულა. ჯანაშიას ბურთის მიღება და მის ფეხზე ორი სტუმარი ერთი იყო, ამავდროულად, ჯანაშიას რომელიმე პარტნიორი უყურადღებოდ რჩებოდა. სათქმელია, პერუელი გალიარდოს მახვილგონივრული პასების გაკეთებაც ეხერხება, მაგრამ ისიც დავამატოთ, რომ ეს ფეხბურთელი დღესდღეობით ალბათ საუკეთესო ფორმაში არ არის, თანაც ახალ გუნდს შეუგუებელია და ერთიორჯერ ბურთის გადაცემის მომენტი კარგად ვერ განსაზღვრა. ისე კი, გალიარდოს თანამემამულე გონსალესის ათამაშების შემდეგ, სავარაუდოა, რომ „ლოკომოტივს“ გაძლიერება შეუძლია.

შეხვედრის ბედი კი 52-ე წუთზე გადაწყდა. მთელი მატჩის განმავლობაში საიმედოდ მოთამაშე გიორგი ბალაშვილის შესრულებულ საჯარიმოს რკინიგზელთა იმედმა, დავით სირაძემ ც ნიერი თავურით მოუძებნა იდეალური გაგრძელება და ბურთი გვარამაძისგან შორეულ ცხრიანში ჩასვა.

დარჩენილ დროში მეტოქეებმა თითო სახიფათო მომენტიც გაცვალეს. ჯერ დინამოელმა რატი ალექსიძემ ანერვიულა მასპინძლები, როცა საჯარიმოში ბურთი მკერდით გაისწორა და კარისკენ ზურგით მყოფმა, ვარდნაში მძლავრად ამოჰკრა — ბურთმა ლომაიას კარს ზემოდან გადაუფრინა, მერე კი ზაზა ჯანაშიამ შეატოვა მეკარეს გივი კვარაცხელია, თუმც უზუსტოდ დაარტყა და ურეალურესი მომენტი გაანიავა.

***ივო შუშაკი, „დინამოს“ მწვრთნელი:*** „ვულოცავ „ლოკომოტივს“ გამარჯვებას. მეტოქემ დამსახურებულად მოგვიგო. ბოლო შეხვედრებში საკუთარ თავს არ ვგავართ. ბევრი მატჩი სუსტ მეტოქეებთან იოლად მოვიგეთ და ბიჭებს ეგონათ, ასევე გაგრძელდებოდა, თუმც, ცხადია, სხვაგვარად მოხდა. ვფიქრობ, ეს ჩავარდნა დიდხანს არ გაგრძელდება. მომავალ მატჩებში დავამტკიცებთ, რომ „დინამო“ ისევ ძლიერია. ამ ორმა წაგებამ ჩვენზე უთუოდ დადებითად უნდა იმოქმედოს. „დინამოს“ შესწევს ამ შოკიდან გამოსვლის ძალა.“

***ლუის ცაკარიასი, „ლოკომოტივის“ მწვრთნელი:*** „რამდენიმე თამაშია, „დინამოს“ ვაკვირდებოდი და ამ გუნდის შესაძლებლობები კარგად შევისწავლე. მთავარი იყო, უპირატესობა მოედნის ცენტრშივე მოგვეპოვებინა და მიხარია, რომ ჩემმა ბიჭებმა ეს შეძლეს. ზაზა ჯანაშიას გარჯითაც კმაყოფილი ვარ. მან ძალიან სასარგებლოდ იმუშავა. ახლა ჩემპიონატი კიდევ უფრო დაიძაბება და ტემპი არ უნდა დავაგდოთ. მომავალი მატჩებისთვისაც სერიოზულად მოვემზადებით.“

თბილისი. 10 ნოემბერი. 15 საათი. ლოკომოტივი. 1 500 (ტევადობა 25 600)

**ლოკომოტივი 1:0 დინამო**

1:0 სირაძე (52)

**ლოკომოტივი:** ლომაია, ორბელაძე, სალუქვაძე, გ. ონიანი, ბალაშვილი, მ. ბურნაძე (ქიქვაძე 72), კვარაცხელია, ზ. ლაცაბიძე, სირაძე (სოხულია 82), ზ. ჯანაშია (კაიდარაშვილი 90), გალიარდო
სათადარიგონი: იფარდაძე, გოგინაშვილი, რ. ონიანი, კობახიძე
**მწვრთნელი:** ლუის ცაკარიასი

**დინამო:** გვარამაძე, შაშიაშვილი, ვაშაკიძე, ამისულაშვილი, კანდელაკი, გოგობერიშვილი, ა. სახვაძე (კვირკველია 64), ანჩაბაძე, ბურდული, ალექსიძე, მ. ბობოხიძე (ტ. ვ. მიქაძე 65)
სათადარიგონი: ზოიძე, ი. სამხარაძე, ხიზანიშვილი, მაზიაშვილი, ეტინაჲ
**მწვრთნელი:** ივო შუშაკი

**გაფრთხილება:** ბალაშვილი (19), ბურდული (45)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ო. გუნთაძე

ჯარიმა: 19-15; კუთხური: 3-5; კარისკენ დარტყმა: 6-5; კარში დარტყმა: 3-1; თამაშგარე: 5-1



რაფაელ გალიარდო



დინამოელმა ილია კანდელაკმა გიორგი ონიანს (№22) ბურთი ვარდნით დაუმალა

# ჩვენ ვეძებთ ტალანტებს

## ბიბა და დინამო ქართველებს თვეში ერთხელ ამოწმებენ

*კიევის „დინამოს“ მენეჯერი ანდრეი ბიბა ერთი თვის წინ საქართველო — რუსეთის მატჩზე რუსი ფორვარდების საქმეში სანახავად იყო თბილისში ჩამოსული, თუმც იმ ჩაშლილი შეხვედრიდან რუსებზე მეტად ქართველი მცველებით დაინტერესდა და მას შემდეგ არაერთხელ აღნიშნა, დინამოელი ალეკო ამისულაშვილისა და გიორგი შაშიაშვილის თამაშით მოხიბლული ვარ და ამ ბიჭებს კიევის „დინამო“ სიამოვნებით მიიღებსო. ჩვენი ინფორმაციით, უკრაინელები ამ ფეხბურთელთა გადასაბირებლად მუშაობას უკვე სერიოზულად შეუდგნენ, ანდრეი ბიბას კი თბილისში მივლინება ხელმეორედ გამოუწერეს, ამჯერად საქართველოს ჩემპიონატის ლიდერების, „ლოკომოტივის“ და „დინამოს“ მატჩზე*

— გავიგეთ, რომ თბილისში ლოკომოტიველი დავით სირაძის სანახავად ჩამოსულხართ? — ვკითხეთ კვირის შეხვედრის შემდეგ უკრაინელ სტუმარს.

— სწორად ვერ გაგიგიათ. თბილისში ნოსტალგიის გრძნობამ ჩამომიყვანა.

**— კი მაგრამ, ერთი თვის წინ არ იყავით თბილისში?**

— ვიყავი და კიდევ ჩამოვედი.

**— ამჯერად ვისი თამაშით დაინტერესდით?**

— არ მეგულება ფეხბურთის სპეციალისტი, საქართველოში ჩამოვიდეს და ქართველი ფეხბურთელებით არ დაინტერესდეს. ტალანტებს ვეძებთ, აქ ისინი მრავლად არიან.

**— კონკრეტულად?**

— ვერ გეტყვით, რადგანაც თავად არ მაქვს ჩანიშნული. ახალ კალაძეს ვეძებთ.

**— დინამოელ ამისულაშვილს ბევრი მომავალ კალაძედ მიიჩნევს, თქვენც?**

— დღეს საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი იყო. „დინამოში“ და „ლოკომოტივში“ რამდენიმე კარგი ფეხბურთელი ვნახე.

**— მათი გვარების დასახელება არ გსურთ?**

— რომ დავასახელო, ძალიან ბევრი გამოვა.

**— ამისულაშვილი, სირაძე, ბურნაძე, ვიტჯორჯიელი ქოქაშვილი... ეს გვარები ქართველ კოლეგებთან, ვიცით, არაერთხელ გიხსენებიათ. ასეა?**

— მათ გარდა ბევრი ფეხბურთელი მყავს სიაში. ვნახოთ, ვის გადაბირებას მოვახერხებთ.

**კობა ინასარიძე**



ანდრეი ბიბა

# ვაი, მას და მის პატრონს



კვირას ქუთაისელი ფეხბურთელები და მსაჯები მეზობელი ზესტაფონელების გამოჩენას ამაოდ ელოდნენ

მამუკა [illegible] ქუთაისიდან

„მეტალურგი" — „დინამო", „მერანი"— „გორდა", „კოლხეთი" — „მილანი", „გორდა" — „მერანი" და ახლა „ტორპედო" — „მეტალურგი". ესაა ქართული ფეხბურთი, მე-14 ეროვნული ჩემპიონატი, ვაი, მას და მის პატრონს.

ამ შეხვედრის შესაძლო ჩაშლაზე ადრევე იყო ცნობილი, ასე რომ, მომხდარი საქმეში ჩაუხედავთ თუ გააკვირვებს. „მეტალურგის" ქუთაისში გამოუცხადებლობის მიზეზი კლუბში შექმნილი აუტანელი ვითარება გახლდათ. რამდენიმე გამაფრთხილებელი აქციის შემდეგ სამი თვის ხელფას-პრემიებს მოკლებულმა ზესტაფონელმა ფეხბურთელებმა პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართეს.

— რა ვქნა, ბევრი ხვეწნის მიუხედავად 11 კაცი ვერ შევკრიბე ქუთაისში ჩასაყვანად, ვერც ვამტყუნებ მშიერ, პურის ფულის გარეშე დარჩენილ ფეხბურთელებს. ცუდ დროს მიგვატოვა კლუბის პრეზიდენტმა, ნუგზარ მდივანის „მეტალურგიდან" წასვლის შემდეგ უპატრონოდ დავრჩით, იყო დაპირებები, რომ მოთამაშეებს დავალიანებას თანდათან გაუსტუმრებდნენ, მაგრამ საქმეს არ ეშველა, ბიჭები ჯერ კიდევ „მილანთან" გასვლითი მატჩის წინ აჯანყდნენ, კახეთში არ მომყვებოდნენ. მაშინ ზესტაფონის გამგებელი შეხვდა გუნდს, თითქოს კაციც გამოჩნდა, ვინც გუნდს უპატრონებდა, მაგრამ დაპირება არ შესრულდა. მერე იყო და ფეროშენადნობთა ქარხნის ახალმა, თურქმა მეპატრონემ დაამშვიდა ქალაქის ხელმძღვანელობა, გუნდს ზრუნვას არ მოვაკლებთო, მაგრამ კარგა ხანია ზესტაფონში არ გამოჩენილა, მის ჩამოსვლამდე კი პატრონი არავინაა. ქალაქის გამგეობიდან დახმარების იმედი არ მოუციათ. ასეთ დღეში აღმოჩნდით, ახლა არ ვიცი, ფედერაცია რა სასჯელს გამოგვიტანს, ერთს კი ვიტყვი, თუ გათამაშებიდან არ მოგვხსნეს და გუნდს დავალიანებას როგორმე გაუსტუმრებენ, არ დავიშლებით, სხვა შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ „მეტალურგი" აღარ იარსებებს — აი, ეს გვითხრა სატელეფონო საუბრისას ზესტაფონელთა დამრიგებელმა ზაურ ჩუბინიძემ.

ამაოდ ელოდა გუშინწინ მეტოქეს „ტორპედო". თუმც მოედანზე მაინც გავიდა, ტორპედოელები ორად გაიყვნენ და სტადიონზე მოსული ათასამდე გულშემატკივარი საჩვენებელი თამაშით ასიამოვნეს.

ასეა, ფედერაციაში აგვისტოდან მოყოლებული მესამედ მოუხდებათ „მეტალურგის" საქმის გარჩევა. მე-14 ეროვნულის სასტარტო ტურში იმერულ კლუბს სამონაწილეო თანხის შეუტანლობის გამო „დინამოსთან" უთამაშებლად ჩაეთვალა წაგება. 28 სექტემბერს „მეტალურგი" — „ვიტ ჯორჯიას" სკანდალურად ჩაშლილი მატჩიც გეხსომებათ. აქაც 0:3 მასპინძელს, „მეტალურგს" 2002 წლის ბოლომდე აეკრძალა საკუთარ სტადიონზე თამაში, ზესტაფონელ ალექსანდრე შეყრილაძეს კი ერთწლიანი დისკვალიფიკაცია და ათასლარიანი ჯარიმა გამოუწერეს.

რა სანქცია მოყვება „მეტალურგის" გუშინწინდელ ამბოხს? მას, ცხადია, მალე შევიტყობთ. წესით და რიგით, იმერული კლუბი გათამაშებიდან მოხსნას იმსახურებს, მაგრამ წავა კი ამაზე ფედერაცია? 19 ოქტომბერს „მერანიც" არ გავიდა „გორდასთან" სათამაშოდ (სხვათა შორის, იგივე მიზეზით), მაგრამ მოკვეთას გადაურჩა. დებულების საწინააღმდეგოდ, ავჭალურ კლუბს უშედავათეს, შინაური საქმეების მოსაგვარებლად დრო მისცეს. ჰოდა, არა გვგონია, „მეტალურგი" უფრო მკაცრად დაისაჯოს.

**იუზა ჭაჭიტაძე ქუთაისიდან**

ქუთაისი. 10 ნოემბერი. 15 საათი. ტორპედო

## ტორპედო — მეტალურგი

# ფედერაციამ ანიაშვილი თქვა და კვარაცხელია გადაწყვიტა

რუსთავი. 10 ნოემბერი. 15 საათი. ფოლადი. 1 200 (ტევადობა 8 750)

## გორდა 2:3 კოლხეთი

| |
|---|
| 0:1 გვასალია (6), 0:2 გაგუა (29), 0:3 სვანიძე (30), 1:3 კ. ალადაშვილი (37), 2:3 ჯელაძე (81) |
| გორდა: ბედიაშვილი, არსოშვილი, ა. ბურნაძე, პაპაშვილი (ჩოხელი 60), დ. ბერიძე (მიქავა 87), თავბერიძე, კ. ალადაშვილი, ჯელაძე, ზაზაშვილი, გოცირიძე (სობაძე 73), ლ. ალადაშვილი. სათადარიგონი: ჩლაიძე, ლურსმანაშვილი, შიოშვილი, პირველი. მწვრთნელი: გია გეგუჩაძე |
| კოლხეთი: ჩემია, ქუტიძე, მ. ქობულაძე, სვანიძე, ფანჩულიძე, გოროზია, ნარსია, ე. გვასალია, გაგუა (ბაჩილავა 82), გაბიდაური, გოშხარიძე. სათადარიგონი: სანიკიძე, ხალვაშია, ხურცილავა, გურგენიძე. მწვრთნელი: სოსო ფილია |
| გაფრთხილება: ქობულაძე (65), გაბიდაური (67), ჯელაძე (73), ბერიძე (78), გოროზია (78), ნარსია (86) |
| მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); მ. ელიკაშვილი, ზ. მჭედლიშვილი; მ. მაღალდაძე (სამივე თბილისი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: შ. ხინჩაგაშვილი |
| ჯარიმა: 25-25; კუთხური: 8-1; კარისკენ დარტყმა: 6-1; კარში დარტყმა: 6-6; თამაშგარე: 7-3 |

**პაატა კვანტალიანი რუსთავიდან**

**კვირას** გაწბილებულნი დარჩნენ რუსთაველები — თავდადებულ ბრძოლაში დამარცხდნენ ეშხიანად მობურთალ კოლხებთან, მაგრამ საწყენად უფრო მსაჯების მოქმედება დაურჩათ. „კოლხეთი" კვირას თემიდელთა დახმარების გარეშეც იმსახურებდა გამარჯვებას. ერთი შეხედვით, მსაჯებს თამაშის შედეგზე გავლენა არ მოუხდენიათ, მაგრამ არბიტრ-გვერდითების შეცდომები მთელი შეხვედრის განმავლობაში იმდენი იყო, რომ ლამის სიგიჟის ზღვარზე მივიდნენ მასპინძლები. წესით და რიგით, სერგო კვარაცხელიას კვირას „ფოლადზე" არ უნდა ემსაჯა. საქმე ის გახლავთ, რომ საამტუროდ მსაჯები შაბათს დანიშნეს. რუსთაველებს აცნობეს, ზურაბ ანიაშვილი გიმსაჯებთო, თამაშზე გასულ ფეხბურთელებს კი კვარაცხელია შერჩათ ხელში. ფედერაციის ამ როქმა ბოლნისში სტუმარს დასწყვიტა გული — იქ სწორედ ზურაბ ანიაშვილმა შეიტანა გარკვეული წვლილი „მილანის" დამარცხებაში. ასეთ დროს არ შეიძლება, არ გაგვახსენდეს, რომ სეზონის წინ „გორდაც" და „მილანიც" სფფ-ის ოპოზიციაში იყვნენ.

ახლა თამაშზეც ვთქვათ, მსაჯთა უღდგილო სტვენა-დროშის ფრიალმაც რომ ვერ გააუფერულა. ორივე გუნდმა გულდაგულ იბრძოლა. „კოლხებს" დიდი ძალა შემატა ტრავმამოშუშებული სვანიძის დაბრუნებამ. სწრაფმა სვანიძემ ეშხიანად ითამაშა მარჯვენა ფლანგზე და ლომის წილი დაიდო თავისიანთა გამარჯვებაში.

სტუმრები ადრევე დაწინაურდნენ — გაგუას კუთხურისას რუსთაველმა მცველებმა უხეიროდ მოიგერიეს ბურთი და ელდარ გვასალიამ მოხდენილი თავურით დაამწუხრა ბედიაშვილი. გოლის მერეც თამაში სტუმართა უპირატესობით გაგრძელდა, „გორდა" თვლემდა და კოლხთა მეორე გოლამდე ერთადერთი სახიფათო მომენტი შექმნა — კახა ალადაშვილის გამოზომილი პასისას თავური გააცუდა გოცირიძემ.

სტუმართა მეორე გოლი სწრაფ კონტრშეტევას მოჰყვა. ფანჩულიძის ჩაკიდული პასისას გვასალიამ საჯარიმოში თავით ჩააგდო ბურთი, იქ კი გაგუამ იბრძოლა და ხუთიოდე მეტრიდან გაიტანა. წუთის მერე სვანიძემ გაიხარა — გაგუას ფლანგური პასისას მთელი დაცვა გაჭრა და აუღებელი დაურტყა ბედიაშვილს. 0:3 30-ე წუთზე ნებისმიერ გუნდს გატეხდა, მაგრამ „გორდამ" ერთბაშად გაიღვიძა და დიდი ძალით შეუტია სტუმარს. მალე გოლიც გავიდა. ბერიძის ჯარიმიდან ჩაწოდებულს ალადაშვილი ჩაუწვა ეფექტურად და მახვილი კუთხიდან შეაგდო.

„გორდამ" მეორე ტაიმშიც ბევრი მომენტი შექმნა. ასპროცენტიანი შანსი ჰქონდა ჯელაძეს, გოცირიძეს, ზაზაშვილს, მაგრამ ჩემია ყოჩაღობდა. ერთ ეპიზოდში კოლხთა ახალგაზრდა მეკარემ ბურნაძე გააოგნა, ისეთი თავური აულო სამი მეტრიდან. შიგადაშიგ სტუმრებიც მწვავედ იჩხვლიტებოდნენ სწრაფი კონტრშეტევებით. მერე კი გელა ფანჩულიძემ შეცვლაზე შესული ჩოხელი წააქცია საჯარიმოში, პენალტი აშკარა იყო და ჯელაძემაც გამოიყენა თავისი შანსი. დარჩენილ დროში „გორდა" ბევრს უტევდა, მაგრამ სტუმარიც მაგრად დადგა და ანგარიში აღარ შეცვლილა.

# ქართლში კახური დააძმარეს

ბოლნისი. 10 ნოემბერი. 15 საათი. თემურ სტეფანია. 1 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 2:0 მილანი

| |
|---|
| 1:0 დავიშვილი (41), 2:0 შავგულიძე (83) |
| სიონი: ფოლკოვი, სიდამონიძე, ირემაშვილი, ზ. ცქიფურიშვილი, გ. ჩხაიძე (გოგიტიძე 46), ბაქრაძე, გაბისკირია, შავგულიძე (კაციაშვილი 85), დ. გოდერძიშვილი (კვაკვასკირია 79), ისიანი, დავიშვილი. სათადარიგონი: ბათიაშვილი, კრავეიშვილი, ხუჭუა, დათუაძე. მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| მილანი: ასლანაძე, ეკალდიშვილი, ჯაბუა, ავობია, მ. სამხარაძე, მეტონიძე, ქალიაშვილი, ვარდიგავა, ეგაძე, ლამბაშიძე (ლულუნაძე 79), დანელია (დათუაშვილი 85). სათადარიგონი: მამალაძე, შელეგია. მწვრთნელი: ალექსანდრე არევაძე |
| გაფრთხილება: შავგულიძე (44), მეტონიძე (56, 75) |
| გაძევება: მეტონიძე (75) |
| მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. ჯვარიძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი); გ. ახალკოლელი (ქარელი) |
| სფფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარჩაშაძე |
| ჯარიმა: 15-22; კუთხური: 4-2; კარისკენ დარტყმა: 6-2; კარში დარტყმა: 7-2; თამაშგარე: 7-8 |

**მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან**

**ისევე როგორც** პირველ წრეში, ბოლნისურმა „სიონმა" კვირასაც ორი გოლი გაუტანა ლიგის დებიუტანტ წნორის „მილანს", ოღონდ ამჯერად უგოლო წაგებას დააჯერეს ქვემოქართლელებმა კახელები. გაბრაზებულმა დატოვეს „თემურ სტეფანია" წნორელებმა, ისინი მსაჯებს დაემდურნენ და თავიანთი ვერსიები პრეტენზიებთან ერთად გუშინ უნდა წარედგინათ ანატოლი მილჩენკოსთვის.

ურიგო გუნდი არ გახლავთ კახური „მილანი". კახელები მეტოქეს არ ეპუებიან, თავდაუზოგავად იბრძვიან, მაგრამ გამოცდილება არ ჰყოფნით და ხშირად თავდახრილნი ტოვებენ სარბიელს.

რამდენიმე ტრავმირებულის გარეშე ეწვივნენ სტუმრები ბოლნისს, შექმნეს ორიოდ ხელსაყრელი მომენტი, იმათგან ერთიც ისეთი იყო, ასპროცენტიანი რომ ეთქმის, მაგრამ მასპინძელთა კარის წინ ეულად დარჩენილმა ახალგაზრდა დანელიამ აღელვებისგან მოზომილად და ზუსტად ვერ დაარტყა. კვირას „თემურ სტეფანიაზე" ალექსანდრე არევაძემ რამდენიმე ფეხბურთელი პირველად დააყენა ძირითადში. ისინი ნიჭიერი ბიჭები ჩანან, თუმც მხოლოდ ქინით თემურ მახარაძის გამოცდილი და შეთამაშებული გუნდის წაქცევა ერთობ საძნელო საქმეა.

10 ნოემბერს „სიონმაც" ვერ ითამაშა ჩვეულად. ბოლნისელთა ლიდერები ერთი შეხედვით პასიურად ბურთაობდნენ, თუმც ისიც აღსანიშნავია, რომ თამაშის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ.

უტევდნენ მასპინძლები, მომენტებსაც ქმნიდნენ სტუმართა კართან, მაგრამ მეკარე დავით ასლანაძე ყოჩაღობდა და არც ბოლნისელებს უჭრიდათ ყისმათი. ასლანაძემ ჯერ გოდერძიშვილის თავური დარტყმა გააუვნებლა, მერე ისიანის სახიფათოდ ჩაწოდებულიც გაარიდა საჯარიმოს.

„სიონს" სწრაფი გოლი რომ არ გამოუვიდა, „მილანმაც" გაიხედა მეტოქის კარისკენ და ის მომენტიც შექმნა, დასაწყისში რომ ვახსენეთ. ტაიმიც თითქოს უგოლოდ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სტუმართა დაცვამ მეტოქეს კიდევ ერთი სახიფათო იერიშის შანსი უბოძა და კახურმა „მილანმა" გოლი გაუშვა.

შავგულიძემ თავისუფლად შეაღწია მეტოქის საჯარიმოში, გზად მცველიც ჩამოიშორა და პირით ხაზს მახლობელმა კარის წინ ეულად მყოფ დავიშვილს დაუგორა ბურთი. კახამ ერთი შეხებით, ზუსტად, მაგრამ სუსტად დაურტყა ასლანაძეს. მეკარეც, ალბათ, განმუხტავდა დაძაბულობას, თუმც საქმეში საკუთარ კარს და მეკარეს გადაფარებული მცველის ქუსლი ჩაერია და ბურთი კარში შეგორდა.

მეორე ტაიმში მსაჯების მისამართით წნორელთა უკმაყოფილება თანდათან იზრდებოდა. ვითარება მეტონიძის გაძევებამ კიდევ უფრო დაძაბა, ხოლო შავგულიძის გოლის შემდეგ „მილანის" ხელმძღვანელთა აღშფოთებამ პიკს უწია. კლუბის პრეზიდენტმა მარიამ ფირცხალაიშვილმა იმ წუთშივე მოითხოვა მატჩის ვიდეოფირი, მაგრამ კვირას ბოლნისიდან არაფერი წაუღია.

–შავგულიძემ მეტოქის საჯარიმოში ბურთი მოედნის სიღრმიდან მიიღო. პენალტის ნიშნულთან მარტოდ მარტო მყოფმა მკერდით შეისწორა, თითქოს მკლავიც დაიხმარაო და ასლანაძეს შეუჩერებლად მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

წნორელები ზურაბ ანიაშვილს ჯერ იმას ემართლებოდნენ, ფეხბურთელი რად გაგვიძევეო, მერე კი თანამსაჯ ზურაბ ჯვარიძეს საყვედურობდნენ, მასპინძელთა კარისკენ არ გაგვახედაო. პრეტენზიები იქნებ გადამეტებულიც იყო, მაგრამ კახელთა უკმაყოფილებაში სიმართლის მარცვალიც ერია.

რაც შეეხება შავგულიძის გოლს, იქ დაეჭვების საბაბი მართლაც ჰქონდათ ქიზიყელებს.

მოედნის ის ალაგი, სადაც ბოლნისელმა ბურთი მიიღო, „თემურ სტეფანიას" სტუმართათვის გამოყოფილი ლოჟიდან ცუდად ჩანს. ლევანმა მკერდით ბურთიც იმგვარად შეისწორა, რომ ჩვენგან სანახევროდ ზურგით იდგა. ამიტომ, იყო თუ არა თამაშგარე, დაიხმარა თუ არა შავგულიძემ მკლავი ბურთის მოთვინიერებისას, ძნელი დასამტკიცებელია. იქნებ ვიდეოჩანაწერმა ცხადყოს სიმართლე, თუმც პირადად მე ამაში ეჭვი მეპარება, ოპერატორი ხომ ლოჟაში, ჩვენს გვერდით იდგა.

მიუხედავად არაერთი სადავო და საკამათო მომენტისა, შედეგი ერთია — სამი ქულა „სიონს", წაგება „მილანს".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 16 | 12 | 1 | 3 | 28:9 | 37 |
| დინამო | 15 | 12 | 1 | 2 | 37:5 | 37 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 32:11 | 35 |
| ლოკომოტივი | 15 | 11 | 1 | 3 | 27:7 | 34 |
| სიონი | 16 | 8 | 2 | 6 | 23:20 | 26 |
| კოლხეთი | 16 | 7 | 2 | 7 | 19:25 | 23 |
| მეტალურგი | 15 | 5 | 1 | 9 | 10:29 | 16 |
| მერანი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:30 | 12 |
| დილა | 15 | 3 | 3 | 9 | 9:22 | 12 |
| მილანი | 16 | 3 | 3 | 10 | 8:27 | 12 |
| ბათუმი | 16 | 2 | 5 | 9 | 11:23 | 11 |
| გორდა | 16 | 3 | 0 | 13 | 12:30 | 9 |

*პირველ ტურში „მერანს", „მეტალურგს", „გორდას" და „მილანს" ჩაეთვალათ 0:3 წაგება*
*მეექვსე ტურში „მეტალურგს" „ვიტ ჯორჯიასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3*
*მეთორმეტე ტურში „მერანს" „გორდასთან" ჩაეთვალა წაგება 0:3*
*მეთხუთმეტე ტურის „ტორპედო" — „მეტალურგის" ჩაშლილი მატჩის შედეგი არ დადასტურებულა და ცხრილში შეტანილი არ არის*

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 10 - იონანიძე | ტორპედო |
| 9 - დარასელია | დინამო |
| მელქაძე | ვიტ ჯორჯია |
| 8 - შავგულიძე | სიონი |
| 7 - გოდერძიშვილი | სიონი |

# შეუცვლელი, მაგრამ დამარცხებული




REUTERS

მანჩესტერ სიტი — მანჩესტერ იუნაიტედი. თამაში ხეირიანად არც დაწყებულიყო, ნიკოლა ანელკამ ფაბიენ ბარტეზს რომ გაუტანა

**ამ უქმეების** შემდეგ პრემიერლიგის ლიდერი მაინც „ლივერპული" იქნებოდა, რადგან ჟერარ ულიეს გუნდი ოთხი ქულით უსწრებდა უახლოეს მდევარ ლონდონის „არსენალს". ახლა პირველსა და მეორეს შორის სხვაობა ერთი ქულაა, რადგან „ლივერპულმა" სეზონის პირველი სალიგო მარცხი იწვნია მიდლსბროში, „არსენალმა" კი „ნიუკასლს" მოუგო სილვენ ვილტორდის გოლით.

ბოროს „რივერსაიდზე" საქმე ისე წავიდა, რომ მასპინძლები უფრო უტევდნენ, თუმცაღა თამაში ისეთი უგოლო ფრესკენ მიდიოდა, „ლივერპულს" რომ ეხერხება ხოლმე.

„როცა წაუგებელ გუნდთან თამაშობ, განსაკუთრებული გრძნობა გეუფლება, გგონია, რომ მისი დამმარცხებელი სწორედ შენ იქნები" — თქვა ბოროელთა მენეჯერმა სტივ მაკლარენმა.

შეხვედრის ერთადერთი გოლი მაშინ გავიდა, როცა მატჩის დამთავრებამდე რვა წუთი რჩებოდა. სტუმართა მეკარე ირეო დუდეკი თხასავით გამოხტა კუთხურიდან ჩაწოდებულ მაღალ ბურთზე. იგი ვერც კი მოიგერია და გარეთ საუთგეიტმა ბურთი კარში გადაგზავნა.

დარჩენილ დროში „ლივერპულმა" ვეღარაფერი მოასწრო. გაზეთებმა კი ულიეს დაუკიჟინეს, შუა კვირაში, ლიგის თასის მატჩში ბრწყინვალედ მოთამაშე კრის კერკლანდი უნდა ჩაგეყენებინა კარში, ეს უკანასკნელი აშკარად უკეთეს ფორმაშია, ვიდრე დუდეკიო.

„ჩვენ ბოლო ოცდაათ სალიგო მატჩში მხოლოდ მეორედ დავმარცხდით. ეს არ არის ქვეყნიერების დასასრული" — თქვა ულიემ.

ამასობაში კი საგრძნობლად წამოიქაჩა ლივერპულის მეორე გუნდი „ევერტონი", რომელიც უკვე სამეულშია. ყმაწვილ უეინ რუნის ტალანტმა, ნამდვილმა კონცენტრაციამ და კურაჟმა დევიდ მოიესის „ტკბილეულობას" (ასე ეძახიან „ევერტონს" შინაურები) ზედიზედ მეოთხე მატჩი მოაგებინა.

„ევერტონს" არასოდეს მოუგია ზედიზედ ოთხი მატჩი პრემიერლიგის არსებობის მანძილზე, ბოლოს კი ჩემპიონი 17 წლის წინათ იყო.

მორიგი მსხვერპლი „ჩარლტონი" იყო. ტომას გრავესენმა საუცხოოდ გაუჭრა ტომაშ რაძინსკის და ეს იყო ერთადერთი გოლი ამ შეხვედრაში, თუმცა „ევერტონმა" წარმატების შენარჩუნების უნარიც აჩვენა.

„ჩვენ ჯერ არაფერი მოგვიგია და ცხადია, წინსვლაზე ვფიქრობთ" — განაცხადა მოიესმა. „ჩარლტონის" თავკაცი ალან კერბიშლი კი უიღბლობას უჩიოდა, ბოლო ხუთი ტურია, კარგად ვთამაშობთ, მაგრამ გამარჯვება გვერს გვივლისო.

ტურის ყველაზე ხმაურიანი თამაში კი მაინც მანჩესტერის „მეინ როუდზე" იყო, სადაც „სიტი" „იუნაიტედს" მასპინძლობდა ნალოდინებ დერბიში და სადაც უკვე მერვე წუთზე ანგარიში 1:1 იყო, ნიკოლა ანელკასა და ოლე გუნარ სოლსკიაერის წყალობით. შეხვედრის ნამდვილი გმირი კი გახლდათ კარიბელი ფორვარდი შონ გოტერი, რომელმაც იმ დილით ძლივს გაიარა ჯანმრთელობის ტესტი და ფეხი რომ უხერხულად დაედგა, მუხლი დაუყოვნებლივ საოპერაციო შეექნებოდა. გოტერმა პირველ გოლშიც მიიღო მონაწილეობა და მერე კი ორიც გაიტანა, რასაც „იუნაიტედმა" ვერაფერით უპასუხა.

გოტერის გარდა ამ დერბის სხვა გმირიც ჰყავდა, კერძოდ, ძმები ნევილები და კომპანია, სხვანაირად „იუნაიტედის" დაცვა. „სიტიმ" 13 წლის თავზე მოიგო მანჩესტერული დერბი.

„ჩვენ კონცენტრაცია გვაკლდა. 3:3 რომ დამთავრებულიყო, მაინც უვარგისნი ვიქნებოდით — თქვა სერ ალექს ფერგიუსონმა, რომელსაც მართლაც ძალიან ეწყინა სადერბო მატჩის წაგება — ასეთ დროს გასახდელის კარი უნდა გაალო და შიგ გულშემატკივრები შეუშვა, რათა ფეხბურთელებმა მათი შეკითხვები მოისმინონ."

გამოიღვიძა „სანდერლენდმა", რომელმაც ჰოვარდ უილკინსონის ხელში პირველად მოიგო და თანაც „ტოტენჰემთან". კევინ ფილიპსმა ტრავმის შემდეგ დაბრუნდა და ექვსთვიანი პირადი გვალვა გოლით დაასრულა.

ნამდვილი ინგლისური თამაში გახურდა „აპტონ პარკზე", სადაც სეზონის ორმა ყველაზე უიღბლო გუნდმა, „ვესტ ჰემმა" და „ლიდსმა" მათთვის ჩვეული დრამა გაითამაშეს: იორკშირელები პირველი ტაიმის შემდეგ 4:1-ს უგებდნენ მასპინძლებს, და „ვესტ ჰემის" გულგატეხილმა ფანებმა ტრიბუნებიც კი მიატოვეს, მაგრამ მეორე ტაიმში დი კანიომ და მისმა ამხანაგებმა ნამდვილი ომი გამართეს და ორი ბურთი გაიტანეს. მეტი გლენ როედერის გუნდმა ვერ შეძლო.

„ასეთი პირველი ტაიმის შემდეგ, თამაშს ვერ მოიგებ — თქვა როედერმა — მაგრამ ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ."

„პირველი ტაიმი ის იყო, რაზეც ვოცნებობ", თქვა ძნელი მოგებით მაინც გახარებულმა ლიდსელთა თავკაცმა ტერი ვენეიბლზმა.

**ირაკლი გამყრელიძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XIII ტური

**სანდერლენდი 2:0 ტოტენჰემი**

1:0 ფილიპსი (60), 2:0 ფლო (62)
სანდერლენდი: მაჩო, მაკკარტნი, ბები, კრადოკი, ს. რაიტი, გრეი, კილბეინი, გ. მაკკანი, პროქტორი (ტირლველი 76), ფლო, ფილიპსი (კაილი 88)
მწვრთნელი: ჰოვარდ უილკინსონი
ტოტენჰემი: კელერი, ტეილორი (ივერსენი 90), რიჩარდსი, პერი, კარი, პოიეტი (ბუნიევჩევიჩი 65), ფროინდი (აჩიმოვიჩი 79), ანდერტონი, ს. დევისი, რობი კინი, შერინგემი
მწვრთნელი: გლენ ჰოდლი
გაფრთხილება: პერი, დევისი
მსაჯი: რენი
40 024 მაყურებელი

**ვესტ ჰემი 3:4 ლიდსი**

0:1 ბარმბი (11), 1:1 დი კანიო (21), 1:2, 1:3 კიუელი (28, 41), 1:4 ვიდუკა (45), 2:4 დი კანიო (50პ), 3:4 სინკლერი (74)
ვესტ ჰემი: ჯეიმსი, ტ. სინკლერი, დეილი, რეპკა (მინტო 46), პირსი, უინტერბერნი, ლომასი (კ. სისე 51), ჯ. კოული, კარიკი, დი კანიო, დეფო
მწვრთნელი: გლენ როედერი
ლიდსი: პ. რობინსონი, ჰ. კელი, რადებე, ლუკასი, ჰარტი, ბარმბი, ბოიერი, ბაკე, უილკოქსი (მილნერი 84), ვიდუკა (ბრიჯესი 77), კიუელი (მაკფაილი 90)
მწვრთნელი: ტერი ვენეიბლზი
გაფრთხილება: კოული, რეპკა, დი კანიო, მინტო, სისე, ბაკე, ვიდუკა, ბოიერი
მსაჯი: დანი
33 297 მაყურებელი

**მანჩესტერ სიტი 3:1 მანჩესტერ იუნ.**

1:0 ანელკა (5), 1:1 სოლსკიაერი (8), 2:1, 3:1 გოტერი (26, 50)
მანჩესტერ სიტი: შმაიხელი, რ. დანი, ვიკენსი, მეტომო, ჯიხაი, ბერკოვიჩი (რაიტ-ფილიპსი 78), ფოე, ტიატო (ჰორლოკი 88), ნ. ჯენსენი, ანელკა, გოტერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
მანჩესტერ იუნ.: ბარტეზი, გ. ნევილი (ოშეი 62), ბლანი, რ. ფერდინანდი, სილვესტრი, სოლსკიაერი, ვერონი (ფორლანი 62), ფ. ნევილი, გიგზი, სქოულზი, ვან ნისტელროი
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ვიკენსი, სოლსკიაერი, ფ. ნევილი
მსაჯი: დარკინი
34 649 მაყურებელი

**არსენალი 1:0 ნიუკასლი**

1:0 ვილტორდი (24)
არსენალი: სიმენი, ლუზი, სიგანი, ს. კემპბელი, ეშლი კოული, ლიუნგბერგი, ვიეირა, ჟილბერტო სილვა, ვილტორდი (ედუ 90), ბერგკამპი (პირესი 70), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ნიუკასლი: გივენი, გრიფინი, დაბიზასი, ობრაიენი, ა. ჰიუზი, სოლანო (ამეობი 71), ჯენასი, სპიდი, ვიანა (ბერნარი 71), შირერი, დაიერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილება: გრიფინი, ვიანა
მსაჯი: დინი
38 121 მაყურებელი

**ასტონ ვილა 3:1 ფულემი**

1:0 ანხელი (20), 1:1 ბოა მორტე (51), 2:1 ოლბოკი (66), 3:1 ლეონარდსენი (83)
ასტონ ვილა: ენკელმანი, დილანი, ჯ. სამუელი, მელბერგი, სტონტონი (იონსენი 76), ბერი, ი. ტეილორი, კინსელა (ჰიცლსპერგერი 62), ლეონარდსენი, ანხელი (ოლბოკი 46), დაბლინი
მწვრთნელი: გრემ ტეილორი
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, მელვილი, გომა, ბრევეტი, მალბრანკი, ჯეტუ (ინამოტო 46), ლეგვინსკი, უადე (შტოლცერსი 72), მარლე, ბოა მორტე (საჰა 78)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
გაფრთხილება: ლეონარდსენი, ტეილორი, ოლბოკი, მელვილი, ბოა მორტე
მსაჯი: დურსო
29 563 მაყურებელი

**ბოლტონი 1:1 ვესტ ბრომვიჩი**

0:1 დობი (17), 1:1 ფრანდსენი (89)
ბოლტონი: იასკელაინენი, ნგოტი, კამპო, ბერგსონი, მენდი, ფრანდსენი, ოკოჩა, ფარელი (ნოლანი 26), რ. გარდნერი (ჩარლტონი 83), ჯორკაეფი, პედერსენი (რიკეტსი 46)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, გრიგენი, ბ. მური, სიგურდსონი, ბალიში, ჯ. ჯონსონი, მაკინესი, ა. ჩემბერსი, კლემენტი, დობი (როზი 79), რობერტსი
მწვრთნელი: გარი მეგსონი
გაფრთხილება: კამპო, ნოლანი, მაკინესი, ჩემბერსი
გაძევება: ნგოტი (20)
მსაჯი: რილი
26 630 მაყურებელი

**ჩელსი 3:0 ბირმინგემი**

1:0, 2:0 გუდიონსენი (3, 31), 3:0 ძოლა (42)
ჩელსი: კუდიჩინი, მელხიოტი, გალასი, დესაი (ტერი 76), ბაბაიარო, ჯ. მორისი, ე. პეტი, ლამპარდი, ლე სო (გრონკიერი 74), გუდიონსენი (კ. კოული 71), ძოლა
მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი
ბირმინგემი: ვესენი, კუნა, ჰარისი, კანინგემი, მ. ბოული (ლაზარიდისი 43), დევლინი, სევიჯი, ა. ჯონსონი, ტებილი, მორისონი (მურსტეინდი 63), ჯონი (ბ. ჰიუზი 73)
მწვრთნელი: სტივ ბრუსი
გაფრთხილება: დესაი, ბოული
მსაჯი: ბარი
35 237 მაყურებელი

**ევერტონი 1:0 ჩარლტონი**

1:0 რაძინსკი (31)
ევერტონი: რ. რაიტი, ჰიბერტი, იობო, სტაბსი (ვეირი 69), ანსუორთი, კარსლი, გრავესენი, ტიე (ნაისმიტი 73), პემბრიჯი, რაძინსკი (რუნი 73), ქ. კემპბელი
მწვრთნელი: დევიდ მოიესი
ჩარლტონი: დ. კილი, ფორტუნი, რუფუსი, ფიში, კ. პაუელი, კიშიშევი (ჯ. იოჰანსონი 76), მასტო (კონჩესკი 54), პარკერი, კ. იენსენი, ლისბი, იული (ბარტლეტი 76)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
გაფრთხილება: გრავესენი, რუნი, ფორტუნი, რუფუსი, ფიში
მსაჯი: სტაილზი
37 621 მაყურებელი

**მიდლსბრო 1:0 ლივერპული**

1:0 საუთგეიტი (82)
მიდლსბრო: შვარცერი, მერნანი, ეჰიოგუ, საუთგეიტი, ქიდმარი, ჯერემი, ბოატენგი, გრინინგი, მაკარონე (ბოკშიჩი 70), ნემეტი (უილკშირი 86)
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ტრაორე, ჰიპია, რიისე, დიაო, ჯერარდი (სმიჩერი 68), ჰამანი, დ. მერფი (ბაროში 86), ოუენი, ჰესკი
მწვრთნელი: ჟერარ ულიე
გაფრთხილება: ბოკშიჩი
მსაჯი: ბელსი
34 747 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:1 ბლეკბერნი**

1:0 ბიტი (38პ), 1:1 კოული (90)
საუთჰემპტონი: ნიემი, დოდი, ლუნდეკვამი, მაიკლ სვენსონი, ბრიჯი, მარსდენი, ოკლი, ა. სვენსონი, ფ. ფერნანდესი, ბიტი, ორმეროდი (ბახარისი 72)
მწვრთნელი: გორდონ სტრაჩანი
ბლეკბერნი: ფრიდელი, ნილი, შორტი, მ. ტეილორი (ტოდი 62), კერტისი (ოსტენსტადი 62), ტომპსონი, დ. დაფი, თუგაი, გილესპი, ენდი კოული, იორკი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: თუგაი, თუგაი, ნილი
გაძევება: თუგაი (76)
მსაჯი: უილი
30 059 მაყურებელი

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ლივერპული | 13 | 9 | 3 | 1 | 24:10 | 14 | 30 | 7 | 5 | 2 | 0 | 14:5 | 9 | 17 | 6 | 4 | 1 | 1 | 10:5 | 5 | 13 |
| 2 არსენალი | 13 | 9 | 2 | 2 | 28:13 | 15 | 29 | 7 | 6 | 0 | 1 | 16:7 | 9 | 18 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:6 | 6 | 11 |
| 3 ჩელსი | 13 | 6 | 5 | 2 | 23:12 | 11 | 23 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:6 | 7 | 11 | 7 | 3 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 12 |
| 4 ევერტონი | 13 | 7 | 2 | 4 | 16:15 | 1 | 23 | 6 | 4 | 2 | 0 | 10:5 | 5 | 14 | 7 | 3 | 0 | 4 | 6:10 | -4 | 9 |
| 5 მანჩესტერი | 13 | 6 | 4 | 3 | 17:12 | 5 | 22 | 7 | 5 | 1 | 1 | 9:3 | 6 | 16 | 6 | 1 | 3 | 2 | 8:9 | -1 | 6 |
| 6 მიდლსბრო | 13 | 6 | 3 | 4 | 16:10 | 6 | 21 | 7 | 5 | 2 | 0 | 12:4 | 8 | 17 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:6 | -2 | 4 |
| 7 ბლეკბერნი | 13 | 5 | 5 | 3 | 19:14 | 5 | 20 | 7 | 2 | 3 | 2 | 11:9 | 2 | 9 | 6 | 3 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 11 |
| 8 ტოტენჰემი | 13 | 6 | 2 | 5 | 17:18 | -1 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 9:7 | 2 | 13 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:11 | -3 | 7 |
| 9 ნიუკასლი | 12 | 6 | 1 | 5 | 18:16 | 2 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:12 | -6 | 4 |
| 10 ლიდსი | 13 | 5 | 2 | 6 | 17:16 | 1 | 17 | 6 | 2 | 0 | 4 | 5:7 | -2 | 6 | 7 | 3 | 2 | 2 | 12:9 | 3 | 11 |
| 11 საუთჰემპტონი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:13 | 0 | 17 | 7 | 3 | 4 | 0 | 9:4 | 5 | 13 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:9 | -5 | 4 |
| 12 სიტი | 13 | 5 | 2 | 6 | 14:19 | -5 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 10 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:9 | -4 | 7 |
| 13 ფულემი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:18 | -1 | 15 | 7 | 3 | 2 | 2 | 9:6 | 3 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 |
| 14 ასტონ ვილა | 13 | 4 | 3 | 6 | 10:12 | -2 | 15 | 7 | 4 | 1 | 2 | 9:5 | 4 | 13 | 6 | 0 | 2 | 4 | 1:7 | -6 | 2 |
| 15 ბირმინგემი | 13 | 4 | 3 | 6 | 14:18 | -4 | 15 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:7 | 1 | 9 | 7 | 1 | 3 | 3 | 6:11 | -5 | 6 |
| 16 სანდერლენდი | 13 | 3 | 4 | 6 | 8:16 | -8 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 4:6 | -2 | 7 | 7 | 1 | 3 | 3 | 4:10 | -6 | 6 |
| 17 ჩარლტონი | 13 | 3 | 2 | 8 | 10:18 | -8 | 11 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 | 7 | 2 | 1 | 4 | 5:7 | -2 | 7 |
| 18 ვესტ ჰემი | 13 | 3 | 2 | 8 | 13:23 | -10 | 11 | 7 | 0 | 2 | 5 | 6:12 | -6 | 2 | 6 | 3 | 0 | 3 | 7:11 | -4 | 9 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 13 | 3 | 2 | 8 | 10:21 | -11 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 7 | 7 | 1 | 1 | 5 | 5:13 | -8 | 4 |
| 20 ბოლტონი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:22 | -10 | 9 | 6 | 1 | 3 | 2 | 7:8 | -1 | 6 | 6 | 1 | 0 | 5 | 5:14 | -9 | 3 |

**XIV ტური**

**16 ნოემბერი**
არსენალი — ტოტენჰემი
ბირმინგემი — ფულემი
ბლეკბერნი — ევერტონი
ჩელსი — მიდლსბრო
ლიდსი — ბოლტონი
ლივერპული — სანდერლენდი
მანჩესტერ სიტი — ჩარლტონი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
ვესტ ბრომვიჩი — ასტონ ვილა

**17 ნოემბერი**
ვესტ ჰემი — მანჩესტერი

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ძოლა (ჩელსი) | 9 |
| ოუენი (ლივერპული) | 8 |
| შირერი (ნიუკასლი) | 7 |
| ვილტორდი (არსენალი) | 7 |
| ანელკა (მანჩესტერ სიტი) | 7 |
| ანრი (არსენალი) | 6 |

### I დივიზიონი

**XVIII ტური**

**დერბი ქაუნთი 1:2 პორტსმუთი**

1:0 ჰიგინბოთემი (16პ), 1:1 ტოდოროვი (27), 1:2 ბერჩილი (61)
დერბი ქაუნთი: გრანტი, ჯ. ბარტონი, ევატი (რავანელი 70), ჰიგინბოთემი, ჰანტი (რიგოტი 16), ბოლდერი, ლი, ბოერტიენი, ძინძლაძე, ლ. მორისი, მაკლეოდი (დ. ბარტონი 82)
მწვრთნელი: ჯონ გრეგორი
გაფრთხილება: ძინძლაძე, ბოერტიენი
მსაჯი: ვები
26 587 მაყურებელი

**ბრედფორდი 3:5 უიმბლდონი**

1:0 ფეისი (8), 1:1 კონოლი (30), 2:1 სტენდინგი (31), 2:2 კონოლი (45), 3:2 სტენდინგი (45), 3:3, 3:4 კონოლი (49, 61), 3:5 დარლინგტონი (89)

**ბარნლი 3:1 კოვენტრი**

1:0 ბლეიქი (15პ), 2:0 გრანტი (35), 2:1 მაკალისტერი (66პ), 3:1 დევენპორტი (83ს.კ.)

**ჯილინგემი 0:1 რედინგი**

0:1 რუგი (82)

**ლესტერი 2:0 უოლსოლი**

1:0 ბითი (57), 2:0 სკოუკროფტი (67)

**მილუოლი 2:1 პრესტონი**

1:0 აიფილი (10), 2:0 უაიზი (16), 2:1 ფულერი (89)

**ნორვიჩი 3:0 შეფილდ უენსდი**

1:0 რობერტსი (31პ), 2:0 მაკვეიგი (44), 3:0 რობერტსი (82)

**როტერჰემი 2:1 უოტფორდი**

1:0 მაკინტოში (41), 1:1 ფოლი (60), 2:1 ბარკერი (67)

**შეფილდ იუნ. 0:0 იფსვიჩი**

**სტოკი 1:2 გრიმსბი**

0:1 ლივინგსტონი (14), 0:2 კემბელი (22), 1:2 მენი (50პ)

**კრისტალ პალასი 0:0 ნოტინგემი**

**ვულვერჰემპტონი — ბრაიტონი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტსმუთი | 18 | 13 | 3 | 2 | 37:17 | 42 |
| ლესტერი | 17 | 11 | 4 | 2 | 27:14 | 37 |
| ნორვიჩი | 18 | 9 | 6 | 3 | 31:15 | 33 |
| უოტფორდი | 18 | 9 | 4 | 5 | 25:25 | 31 |
| ნოტინგემი | 17 | 8 | 6 | 3 | 29:15 | 30 |
| რედინგი | 17 | 9 | 2 | 6 | 21:14 | 29 |
| შეფილდი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:23 | 29 |
| ქოვენთრი | 18 | 7 | 6 | 5 | 23:23 | 27 |
| როტერჰემი | 18 | 7 | 5 | 6 | 31:23 | 26 |
| ვულვზი | 16 | 7 | 4 | 5 | 33:19 | 25 |
| ბარნლი | 18 | 7 | 4 | 7 | 27:32 | 25 |
| კრ. პალასი | 17 | 5 | 9 | 3 | 28:21 | 24 |
| დერბი | 18 | 7 | 3 | 8 | 21:24 | 24 |
| ჯილინგემი | 18 | 6 | 5 | 7 | 19:25 | 23 |
| უიმბლდონი | 18 | 6 | 4 | 8 | 25:28 | 22 |
| მილუოლი | 18 | 6 | 4 | 8 | 19:28 | 22 |
| პრესტონი | 17 | 4 | 8 | 5 | 25:27 | 20 |
| უოლსოლი | 18 | 5 | 4 | 9 | 26:31 | 19 |
| ბრედფორდი | 18 | 4 | 7 | 7 | 21:29 | 19 |
| იფსვიჩი | 16 | 4 | 5 | 7 | 19:20 | 17 |
| გრიმსბი | 18 | 4 | 4 | 10 | 19:34 | 16 |
| სტოკი | 18 | 3 | 5 | 10 | 20:33 | 14 |
| უენსდი | 18 | 2 | 6 | 10 | 14:28 | 12 |
| ბრაიტონი | 15 | 2 | 1 | 12 | 14:32 | 7 |

### მეორე დივიზიონი

მე-18 ტური: ბარნსლი — კარდიფი 3:2; კოლჩესტერი — ბრისტოლი 2:2; ქრიუ — ბრენტფორდი 2:1; ჰადერსფილდი — უიკომბი 0:0; ლუთონი — პორტ ვეილი 0:0; ნოტსი — მენსფილდი 2:2; პიტერბორო — ჩესტერფილდი 1:0; პლიმუთი — ოლდემი 2:2; ქუინზ პარკი — ნორთჰემპტონი 0:1; სტოკპორტი — ჩელტენემი 1:1; სუინდონი — ტრანმერი 1:1; ბლეკპული — უიგანი 0:2

### მესამე დივიზიონი

მე-18 ტური: როშდეილი — საუთენდი 0:1; ბერი — ტორკი 0:1; ექსეტერი — ჰარტლპული 1:2; კიდერმინსტერი — კარლაილი 1:2; ლინკოლნი — ჰალი 1:1; ოქსფორდი — როჩდეილი 2:0; რაშდენი — დარლინგტონი 2:0; სკანთორპი — ბოსტონი 2:0; შრიუსბერი — კემბრიჯი 3:1; სუონსი — მაკლსფილდი 1:0; რექსემი — ბორნმუთი 3:2; იორკი — ლეიტონი 3:2

### ლიგის თასი
### 1/8 ფინალის წილისყრა

ასტონ ვილა — პრესტონი; ბარნლი — მანჩესტერ იუნაიტედი; ლივერპული — იფსვიჩი; ბლეკბერნი — როტერჰემი; უიგანი — ფულემი; შეფილდ იუნაიტედი — სანდერლენდი; კრისტალ პალასი — ოლდემი; ჩელსი — ევერტონი
მატჩები გაიმართება 3-4 დეკემბერს

## გერმანია

### ბუნდესლიგა. XI ტური

**ბაიერნი 2:1 დორტმუნდი**

1:0 კოლერი (7), 1:1 სანტა კრუზი (62), 2:1 პიზარო (66)
ბაიერნი: კანი, სანიოლი (ნ. კოვაჩი 80), კუფური, თ. ლინკე, ლიზარაზუ, იერემიესი (ფინკი 76), ჰარგრივსი (კ. პიზარო 46), სალიჰამიჯიჩი, ბალაკი, ელბერი, სანტა კრუზი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
დორტმუნდი: ლემანი, ვორნსი, მეცელდერი (კეჰლი 63), დედე (მადუნი 36), ფრინგსი, შ. როიტერი, ჰაინრიხი, როსიცკი, ევერტონი, ამოროზო (რიკენი 63), კოლერი
მწვრთნელი: მათიას ზამერი
გაფრთხილება: ელბერი, დედე, კოლერი, ფრინგსი, ლემანი, ფრინგსი, ლემანი, კელი
გაძევება: ფრინგსი (41), ლემანი (66)
მსაჯი: ვაგნერი
63 000 მაყურებელი

**მიონხენგლადბახი 3:0 კოტბუსი**

1:0 ფილგენჰაუერი (2), 2:0 ულიხი (6), 3:0 ვან ჰუტი (22)
მიონხენგლადბახი: შტილი, ებერლი, კორელი, პლეტში, მუნში, ვიტეჩეკი, დემო, ულიხი (სკუბო 71), აიდოო (კეტელაერი 79), ფილგენჰაუერი (კუნცელი 88), ვან ჰუტი
მწვრთნელი: ჰანს მაიერი
კოტბუსი: ლენცი, და სილვა, ჰუჯდუროვიჩი (ლატუნდე 69), ბეკი, ლიოვი, ტილემანი, ტ. როსტი, რეგეკამფი, გებჰარდტი (კობილანსკი 46), იუსკოვიაკი (როზგონი 76), რაიხენბერგერი
მწვრთნელი: ედუარდ გაიერი
გაფრთხილება: კორელი, ტილემანი, ჰუჯდუროვიჩი, ტილემანი
გაძევება: ტილემანი (72)
მსაჯი: შტრამპე
23 200 მაყურებელი

**ჰერტა 3:1 ჰანზა**

1:0 გოორი (8), 2:0 ალვესი (10), 2:1 სალუ (16), 3:1 ფრიდრიხი (58)
ჰერტა: კირალი, ფრიდრიხი, რემერი, ნენე, ჰარტმანი, შმიდტი, მარქსი (მაასი 83), ბაინლიხი (ტრეტიაკი 67), ალვესი (კარგანი 80), გოორი, პრეეცი
მწვრთნელი: ჰუბ სტივენსი
ჰანზა: შობერი, კინცი, იაკობსონი, კოვაჩი, ჰილი (მეული 46), ლანცი, ადუბი (მერსონი 81), ჰანსენი (ვორბეკი 62), მეგლე, რიდლევიჩი, სალუ
მწვრთნელი: არმინ ვეჰი
გაფრთხილება: ბაინლიხი, ჰანსენი
მსაჯი: მერკი
40 159 მაყურებელი

**არმინია 0:1 ნიურნბერგი**

0:1 დრილერი (56)
არმინია: ჰაინი, რაინჰარდტი, ჰანსენი, დაბროვსკი, რაუვი (ვან დერ ვენი 77), კაუფი, დამაიერი (პორჩელიო 67), ალბაირაკი, ბრინკმანი (დიაბანგა 65), ვიშნიარეკი, ფ. ვატა
მწვრთნელი: ბენო მიოლმანი
ნიურნბერგი: კამპა, ნიკლი, კოში, პეტკოვიჩი, პოპოვიჩი, ლარსენი, სანე, ლ. მიულერი, იაროლიმი (შტეფლე 86), ს. ჩირიჩი, დრილერი (ბელიჩი 78)
მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი
გაფრთხილება: რაუვი, კოში, ნიკლი
მსაჯი: ოპიცი
18 153 მაყურებელი

**ჰამბურგი 1:0 მიუნხენი**

1:0 რომეო (29)
ჰამბურგი: პიკენჰაგენი, ფუკალი, ჰოოგმა, უიფალუში, ჰოლერბახი, ლედესმა (ბენჯამინი 68), მალტრიცი, მაჰდავიკია, კარდოზო, კრისტენსენი (მეიერი 72), რომეო
მწვრთნელი: კურტ იარა
მიუნხენი: იენში, ეჰლერსი (აგოსტინო 70), ვოტავა, როდრიგო კოსტა, ჰოფმანი, კურცი (ვიზინგერი 24), მაიერი (ვაისენბერგერი 78), დ. შულცი, ჰესლერი, შროტი, ლაუტი
მწვრთნელი: პეტერ პაკულტი
მსაჯი: კრუგი
36 370 მაყურებელი

**კაიზერსლაუტერნი 0:1 ჰანოვერი**

0:1 ბობიჩი (40)
კაიზერსლაუტერნი: გ. კოხი, ჰ. კოხი, კლოსი (მიქსუდი 42), სფორცა, ლემბი, ჰენგენი, ბიელიცა (რიდლე 29), ბასლერი, ლინკოლნი, კლოზე, ტიმი (ლოკვენცი 53)
მწვრთნელი: ერიკ გერეტსი
ჰანოვერი: სივერსი, ჩერუნდოლო, კონსტანტინიდისი, ზურაუ, შტენდელი, ხაიმე, დე გუზმანი, კრუპნიკოვიჩი (ლალა 72), შტეფულე, იდრისუ, ბობიჩი (წყური 90)
მწვრთნელი: რალფ რანგნიკი
გაფრთხილება: ლინკოლნი, ბასლერი, კლოსი, ჰ. კოხი, შტენდელი
მსაჯი: ფლაიშერი
32 231 მაყურებელი

**ვოლფსბურგი 3:1 ვერდერი**

1:0 პეტროვი (28), 2:0 პონტე (66), 2:1 მიკუ (70), 3:1 ეფენბერგი (84)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ფრანცი (შნორი 46), კარჰანი, ბილიშკოვი, შარბი (გრაინერი 64), რაუ, დ. მუნტიანუ (ავონიონი 73), ეფენბერგი, პონტე, კლიმოვიჩი, გ. პეტროვი
მწვრთნელი: ვოლფგანგ ვოლფი
ვერდერი: ბორელი, სკრიპნიკი, კრსტაიჩი, სტალტერი, ბანინა, ბაუმანი, ფ. ერნსტი, ლისტესი (აილტონი 63), მიკუ, ხარისტეასი, დაუნი (კლასნიჩი 79)
მწვრთნელი: თომას შააფი
გაფრთხილება: ფრანცი, კარჰანი, პონტე, კლიმოვიჩი, ბაუმანი
გაძევება: ხარისტეასი (45)
მსაჯი: კემლინგი
12 613 მაყურებელი

**შტუტგარტი 3:2 ბოხუმი**

0:1 კრისტიანსენი (67), 1:1 განეა (74), 1:2 შინდცილორცი (84), 2:2, 3:2 განეა (86პ, 90)
შტუტგარტი: თ. ერნსტი, ჰინკელი, რუი მარკესი (განეა 71), მეირა, გერბერი, სოლდო, მაისნერი (ამანატიდისი 46), გლები, ბალაკოვი, ზაიცი, კურანი
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
ბოხუმი: ვან დუინჰოვენი, კოლდინგი, კალა, ფარენჰორსტი, მანდრეიკო, შინდცილორცი, გუდიონსონი (ბემბენი 46), ვოში, ფრაიერი, გრაულუნდი (კრისტიანსენი 58), ჰაშემიანი (რაისი 70)
მწვრთნელი: პეტერ ნოიროურერი
გაფრთხილება: გერბერი, მეირა, გრაულუნდი, ჰაშემიანი, კოლდინგი, გუდიონსონი, ფრაიერი, კალა, ვან დუინჰოვენი
მსაჯი: მაიერი
21 200 მაყურებელი

**შალკე 0:1 ლევერკუზენი**

0:1 შნაიდერი (90პ)
შალკე: ფ. როსტი, უდე კამფუისი, ჰაიტო, ვან ჰოოგდალემი, მატელანი (მაკი 90), პოულსენი, ვერმანტი (რეკე 90), მიოლერი, ასამოა (ბიომე 79), ე. მპენზა, სანდი
მწვრთნელი: ფრანკ ნოიბარტი
ლევერკუზენი: ჰ. ბუტი, პლაცენტე, ლუსიო, რამელოვი, ბალიტში, სებესკენი, ბალიტში, ბ. შნაიდერი, ბიეროფკა, ნოივილი (ბრდარიჩი 74), ბერბატოვი (სიმაკი 74)
მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი
გაფრთხილება: პოულსენი, ასამოა, ჰაიტო, ბრდარიჩი, პლაცენტე, ნოივილი, სებესკენი
გაძევება: როსტი (87)
მსაჯი: ვაკი
60 601 მაყურებელი

# წითელი ძახველი გერმანიაშიც დადგეს

## ბეკენბაუერი თექვსმეტ წითელს აპირებდა


REUTERS

ბაიერნი — დორტმუნდი. ლემანის გაძევების მერე სტუმართა მეკარეობა ახმახმა იან კოლერმა ითავა

**შემძლილი** მატჩი გამოდგა და სხვაგვარად ალბათ არც უნდა ყოფილიყო — ერთმანეთს ხომ მიუნხენის „ბაიერნი" და დორტმუნდის „ბორუსია" ხვდებოდნენ.

გულზვიად ბავარიელებზე, როგორც ჩანს, კრიტიკამ დადებითად იმოქმედა და თუ ჩემპიონთა ლიგიდან ნაადრევად დაიფრინეს, ბუნდესლიგას მყარად ლიდერობს.

ოტმარ ჰიცფელდის ფეხბურთელები კრიტიკას ვერც ამჯერად გადაურჩნენ, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი ყველაზე ომახიანი მაძაგებელი თავიანთივე პრეზიდენტი შეიქნა — ჰერ ბეკენბაუერს საქებარი სიტყვა არ წამოსცდენია, თორემ სხვა ყველაფერი.

ნამატჩევს კაიზერ ფრანცმა ერთი თქვა: „არ შემიძლია მიმტევებელი ვიყო მაშინ, როცა ფეხბურთელები მსაჯებს თავიანთი უარყოფითი ემოციების გადმოსანთხევად იყენებენ. მსაჯობა უმადური პროფესიაა და მათ ისე უნდა მოვეპყრათ, როგორც ამას ფეირ პლეის პრინციპები ითვალისწინებენ."

ბეკენბაუერის ფილოსოფიას კიდევ დავუბრუნდებით, მაგრამ მანამდე ისიც ვთქვათ, რომ ჩემპიონმა „დორტმუნდმა" მიმდინარე ბუნდესლიგაში პირველად წააგო. მათიას ზამერის გუნდმა სისხლი და ოფლი არ დაიშურა არწასაგებად, მაგრამ ნერვებმა და „ბაიერნის" ქებულმა კონცენტრაციის უნარმა დამარცხებისთვის გაწირა.

დორტმუნდელი ტორსტენ ფრინგსი ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს, ხოლო იენს ლემანი მას შემდეგ მიაბრძანეს მოედნიდან, როცა კლაუდიო პიზაროს გოლზე აღშფოთდა და მსაჯთან მიიჭრა, თამაშგარე იყოო.

„ის ხარივით გაექანა მსაჯისკენ. მას ეს არ უნდა ექნა — მოკლედ მოჭრა ლემანის საქციელზე ბეკენბაუერმა და მერე ორივე გუნდის ფეხბურთელებსაც გადასწვდა — მე რომ მსაჯი ვყოფილიყავი, თითოეული გუნდიდან სამ-სამ ფეხბურთელს დავტოვებდი მოედანზე და ისე ჩავამთავრებდი მატჩს. ყველას გავაგდებდი, ვინც კი ერთ მეტრზე ახლოს მომიახლოვდებოდა და პირს ვერ მოკეტავდა."

სადაც სამართალია, ისიც ვთქვათ, რომ ჯოვანი ელბერმა სულაც მუხლი სთხლიშა თავში ლემანს, მაგრამ ოდენ ყვითელ ბარათს გადაურჩა.

მეკარე გააგდეს „შალკე" — „ლევერკუზენის" შეხვედრაშიც — ფრანკ როსტმა საკუთარ საჯარიმოში ტომას ბრდარიჩი დასცა გაზონზე, ხოლო 11-მეტრიანი ბერნდ შნაიდერმა შეაგდო.

როგორც ჩანს, „ლევერკუზენი" ნელნელა თავს აღწევს კრიზისს. გელზენკირხენში კი ზედმიწევნით მკაცრად, ტაქტიკურად გაწონასწორებული თამაშით გამოირჩა.

„მიუნხენ 1860"-ის წარმატებული სვლა ჩრდილოეთში შეჩერდა — ჰამბურგელთა არგენტინელმა შემტევმა ბერნარდო რომეომ ჯარიმიდან ჩაწოდებულ ბურთს ზუსტად დაჰკრა თავი. მიუნხენელ „ცისფერ ლომებს" აქამდე ზედიზედ სამი მატჩი მოეგოთ.

შთამბეჭდავად ითამაშეს დედაქალაქელებმა. „ჰერტამ" დაამტკიცა, რომ ის თავისი ლიდერის, მარსელინიოს გარეშეც ღონიერია.

„ჰერტამ" ათ წუთში მოითავა საქმე — ბელგიელმა შუახაზელმა ბარტ გოორმა და ბრაზილიელმა ფორვარდმა ალექს ალვეშმა „ჰანზა" მალევე გატეხეს.

მართალია, ბაშირუ სალუმ საპასუხო გოლი ხუთ წუთში გაქვითა, მაგრამ როსტოკელების თამაში შემობრუნებელ გუნდისას არ ჰგავდა.

მეორე ტაიმში კი რუდი ფიოლერის მოწონებული „ჰერტას" მცველი გამოირჩა გოლით — არნი ფრიდრიხი.

ჩაფლავდა ყოფილი გდრ-ის კიდევ ერთი წარმომადგენელი. თუმც „კოტბუსის" ასევე ყოფილმა გულშემატკივარმა, ჰანს მაიერმა მოუსაჯა [illegible] კოტბუსელები ვერც [illegible] — რონი ტაიელმანი ორი ყვითელისთვის გააწითლეს.

წითელი თქვენ წარმოიდგინეთ და არც „მუსიკოსებს" დააკლეს. ბრემენელთა ბერძენი შემტევი ანგელოს ხარისტიასი იმად გააძევეს, რომ ვოლფსბურგელ მცველ მაიკ ფრანცს მკერდში მუშტი უბრაგუნა.

„მგელთა" მესამე გოლი დიადმა შტეფან ეფენბერგმა გაიტანა, მანამდე კი პეტროვისა და პონტეს ჯერი იდგა.

მშვიდობა და ცხარე ბრძოლა იყო შტუტგარტში, კიდევ რუმინელი ვიორელ განიას ბენეფისი.

სტუმრად მოიგო „ნიურნბერგმა", რომელიც წინა ბუნდესლიგაში სულ გასავარდნი ზონის ახლომახლო ბინადრობდა, ახლა კი მე-10 ადგილზეა. გამარჯვების გოლი მარტინ დრილერმა თავურით გაიტანა და საერთოდ, „ნიურნბერგს" ალმაცერად ნუ შეხედავთ — ბოლოს და ბოლოს, ეს გუნდი გერმანიის ცხრაგზის ჩემპიონია.

წააგო დანავსულმა „კაიზერსლაუტერნმა" — ფრედი ბობიჩმა ერიკ გერეტსის გუნდს ჰაერში შემართულმა გაუტანა.

**დავით თავართქილაძე**

## მეორე ბუნდესლიგა

### XII ტური

**ფიურტი 2:1 ზანკტ პაული**

1:0 როსლერი (7), 2:0 რუმანი (33), 2:1 პაჩინსკი (86)
ფიურტი: რაიხოლდი, სურმანი, ბოი, შლიკე, ბორკა, ვებერი (ბურხარდტი 59), რუმანი ([illegible] 84), რაიხელი, კაილესი (ქაიე 76), როსლერი, ბოლიკელა
მწვრთნელი: ეუგენ ჰახი
8 204 მაყურებელი

**ალემანია 3:0 უნიონი**

1:0 ივანოვიჩი (20), 2:0 ვან დერ ლეუერი (40), 3:0 შპიზაკი (46)

**ბურგჰაუზენი 3:0 ობერჰაუზენი**

1:0 ბერტლი (20), 2:0 ბურგერი (23), 3:0 იუნგა (90)

**აინტრახტი 0:0 ბრაუნშვაიგი**

**კიოლნი 1:1 როიტლინგენი**

0:1 ფურლი (29), 1:1 შერცი (30)
კიოლნელი არჩილ არველაძე ტრავმირებულია

**ალენი 1:0 ლიუბეკი**

1:0 სობიჩი (41)

**დუისბურგი 1:0 მაინცი**

1:0 დრსეკი (38)

**კარლსრუე 1:1 ვალდჰოფი**

1:0 ფრიცი (30), 1:1 ეცრაიდო (63)

**ფრაიბურგი — ტრიერი**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 12 | 6 | 6 | 0 | 26:13 | 24 |
| აინტრახტი | 12 | 7 | 2 | 3 | 23:11 | 23 |
| ფრაიბურგი | 11 | 7 | 1 | 3 | 18:10 | 22 |
| ალემანია | 12 | 6 | 4 | 2 | 21:14 | 22 |
| ტრირი | 11 | 6 | 2 | 3 | 21:12 | 20 |
| ფიურტი | 12 | 5 | 5 | 2 | 18:12 | 20 |
| ბურგჰაუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 22:14 | 19 |
| ობერჰაუზენი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:11 | 19 |
| როიტლინგენი | 12 | 6 | 1 | 5 | 22:21 | 19 |
| მაინცი | 12 | 5 | 3 | 4 | 17:12 | 18 |
| ლიუბეკი | 12 | 5 | 1 | 6 | 21:18 | 16 |
| დუისბურგი | 12 | 3 | 6 | 3 | 14:16 | 15 |
| უნიონი | 12 | 3 | 4 | 5 | 13:26 | 13 |
| ალენი | 12 | 3 | 3 | 6 | 16:20 | 12 |
| კარლსრუე | 12 | 2 | 5 | 5 | 12:19 | 11 |
| ზტ. პაული | 12 | 2 | 2 | 8 | 17:30 | 8 |
| ბრაუნშვაიგი | 12 | 1 | 3 | 8 | 13:29 | 6 |
| ვალდჰოფი | 12 | 1 | 2 | 9 | 11:30 | 5 |

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

მე-16 ტური: ბაბელსბერგი — მიუნსტერი 2:0; ოსნაბრიუკი — ჰამბურგი (მ) 1:0; ბუე — დრეზდენი 3:0; პადერბორნი — კილი 0:2; იურდინგენი — ფერლი 1:2; ლევერკუზენი (მ) — კოლი 1:1; ვერდერი (მ) — ვატენშაიდი 3:5. დინამო — ქემნიცი გადაიდო, კიოლნი (მ) — დორტმუნდი (მ) დღეს გაიმართება

## სამხრეთ რეგიონალლიგა

მე-18 ტური: ზაარბრიუკენი — კაიზერსლაუტერნი (მ) 1:0; დარმშტადტი — ჰოფენჰაიმი 0:1; ერფურტი — აალენი 5:0; ელვერსბერგი — კიკერსი 2:2; აინტრახტი (მ) — უნტერჰახინგი 2:1; აუგსბურგი — ბაიერნი (მ) 1:1; პფულენდორფი — ვეენი 2:1; შვაინფურტი — ოფენბახი 1:2; ზიგენი — რეგენსბურგი 3:1

## თასის 1/8 ფინალის წილისყრა

ბაიერნი — შალკე; ჰამბურგი — ბოხუმი; ალენი — ვერდერი; მიუნხენი — ობერჰაუზენი; ნიურნბერგი — კიოლნი; კაიზერსლაუტერნი — ფრაიბურგი; ლევერკუზენი — ვალდჰოფი; უნტერჰახინგი — ჰანზა

მატჩები გაიმართება 3-4 დეკემბერს

| № | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ბაიერნი | 12 | 8 | 2 | 2 | 28:14 | 14 | 26 | 6 | 5 | 1 | 0 | 21:9 | 12 | 16 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 2 | 10 |
| 2 დორტმუნდი | 12 | 5 | 6 | 1 | 18:9 | 9 | 21 | 6 | 2 | 4 | 0 | 8:5 | 3 | 10 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 11 |
| 3 შტუტგარტი | 12 | 5 | 5 | 2 | 20:14 | 6 | 20 | 6 | 3 | 3 | 0 | 12:5 | 7 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 8 |
| 4 მიუნხენი | 12 | 6 | 2 | 4 | 18:14 | 4 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 7 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 5 ვერდერი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:22 | 0 | 20 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:8 | 4 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:14 | -4 | 7 |
| 6 ჰერტა | 12 | 5 | 4 | 3 | 15:12 | 3 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 4 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:6 | -1 | 8 |
| 7 შალკე | 12 | 5 | 4 | 3 | 14:11 | 3 | 19 | 6 | 3 | 2 | 1 | 7:3 | 4 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 7:8 | -1 | 8 |
| 8 ვოლფსბურგი | 12 | 6 | 1 | 5 | 15:15 | 0 | 19 | 6 | 5 | 0 | 1 | 9:4 | 5 | 15 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:11 | -5 | 4 |
| 9 ბოხუმი | 11 | 5 | 2 | 4 | 25:19 | 6 | 17 | 6 | 3 | 1 | 2 | 13:7 | 6 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 12:12 | 0 | 7 |
| 10 ნიურნბერგი | 12 | 5 | 1 | 6 | 15:18 | -3 | 16 | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 0 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | -3 | 7 |
| 11 ჰამბურგი | 12 | 5 | 1 | 6 | 13:18 | -5 | 16 | 6 | 5 | 0 | 1 | 9:6 | 3 | 15 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 1 |
| 12 ლევერკუზენი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:18 | -3 | 15 | 6 | 2 | 1 | 3 | 7:10 | -3 | 7 | 6 | 2 | 2 | 2 | 8:8 | 0 | 8 |
| 13 ჰანოვერი | 12 | 4 | 3 | 5 | 22:26 | -4 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 11:16 | -5 | 5 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:10 | 1 | 10 |
| 14 გლადბახი | 12 | 4 | 2 | 6 | 14:10 | 4 | 14 | 6 | 3 | 2 | 1 | 10:2 | 8 | 11 | 6 | 1 | 0 | 5 | 4:8 | -4 | 3 |
| 15 ჰანზა | 12 | 4 | 2 | 6 | 14:13 | 1 | 14 | 6 | 1 | 1 | 4 | 6:9 | -3 | 4 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:4 | 4 | 10 |
| 16 არმინია | 12 | 4 | 2 | 6 | 12:20 | -8 | 14 | 6 | 4 | 0 | 2 | 8:4 | 4 | 12 | 6 | 0 | 2 | 4 | 4:16 | -12 | 2 |
| 17 ლაუტერნი | 11 | 1 | 4 | 6 | 9:15 | -6 | 7 | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 5 | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | -7 | 2 |
| 18 კოტბუსი | 12 | 1 | 2 | 9 | 5:26 | -21 | 5 | 6 | 0 | 1 | 5 | 1:10 | -9 | 1 | 6 | 1 | 1 | 4 | 4:16 | -12 | 4 |

**XIII ტური**

17 ნოემბერი

კოტბუსი — არმინია
ნიურნბერგი — ჰამბურგი
ბაიერნი — ვოლფსბურგი
ვერდერი — ლაუტერნი
ჰანოვერი — ჰერტა
ჰანზა — შტუტგარტი
ბოხუმი — შალკე
ლევერკუზენი — გლადბახი
დორტმუნდი — მიუნხენ 1860

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ელბერი (ბაიერნი) | 10 |
| ს. ჩირიჩი (ნიურნბერგი) | 8 |
| ბობიჩი (ჰანოვერი) | 8 |
| კრისტიანსენი (ბოხუმი) | 8 |
| აილტონი (ვერდერი) | 7 |
| კურანი (შტუტგარტი) | 7 |
| პიზარო (ბაიერნი) | 7 |

# ესპანეთი

## პრიმერადივიზიონი. IX ტური

### ატლეტიკო 3:3 ბილბაო

1:0 ხოსე მარი (23), 1:1, 1:2 ურსაისი (49, 52), 2:2 ხოსე მარი (75), 2:3 ურსაისი (82), 3:3 ხოსე მარი (90)
ატლეტიკო: ბურგოსი, კონტრა (ოტერო 59), გარსია კალვო, კაროსასი, კოლოზინი, ალბერტინი, ი. სტანკოვიჩი, აგილერა (ხორხე 64), ემერსონი, კორეა (ხავი მორენო 56), ხოსე მარი
მწვრთნელი: ლუის არაგონესი
ბილბაო: ლაფუენტე, ლარასაბალი, ოსკარ ვასკესი, ლაკრუსი, მურილიო, იეხტე (კარანკა 83), ხავი გონსალესი, ტიკო (ალკისა 70), გურპეგი, ხ. ეჩებერია (დელ ორნო 90), ურსაისი
მწვრთნელი: იუპ ჰაინკესი
გაფრთხილება: კაროსასი, აგილერა, ურსაისი, ხოსე მარი
მსაჯი: კარმონა მენდესი
42 750 მაყურებელი

### სელტა 1:0 ესპანიოლი

1:0 ხოსე იგნასიო (17)
სელტა: კავალიერო, ველასკო, სილვინიო, ბერიზო, მენდესი (კასეროსი 25), მოსტოვოი, ხოსე იგნასიო, ედუ, ლუქსენი (ვლოვანელა 80), გუსტავო ლოპესი (ხესული 69), კატანია
მწვრთნელი: მიგელ ანხელ ლოტინა
ესპანიოლი: არგენსო, დ. გარსია, სოლდევილა, ნავასი, დომორო, მორალესი (ფრედსონი 60), მაქსი (ველამასანი 60), დე ლა პენია (ალექს ფერნანდესი 68), მილოშევიჩი, მარტინ პოსე, ტამუდო
მწვრთნელი: რამონ მოია
გაფრთხილება: ბერიზო, მორალესი, ველამასანი, ლუქსენი, ალექს ფერნანდესი, ალექს ფერნანდესი, ხოსე იგნასიო
გაძევება: ალექს ფერნანდესი (86)
მსაჯი: უნდიანო მალენკო
16 000 მაყურებელი

### მალიორკა 3:1 ალავესი

1:0 პანდიანი (29), 2:0 იბაგასა (66), 3:0 პანდიანი (76პ), 3:1 ილიე (90)
ნავარომ ვერ გაიტანა პენალტი (86, აგილა)
მალიორკა: ლეო ფრანკო, კორტესი, ოლაიზოლა (ნინიო 84), პოლი, ნადალი, იბაგასა, ნოვო, რიგრა, აროლდ ლოზანო, ეტოო (მარკოსი 73), პანდიანი (კარლოსი 78)
მწვრთნელი: გრეგორიო მანსანო
ალავესი: დუტრუელი, კარმონა, ჯელი, ლორენსი (იბონ ბეგონია 62), აბელარდო, ასტუდილო, ტურიელი, ლ. ელგარა, მაგნო (ა. ილიე 53), კრუიფი, ივან ალონსო (რ. ნავარო 70)
მწვრთნელი: ხოსე მანუელ ესნალ პარდო
გაფრთხილება: ოლაიზოლა, ლორენსი, აროლდ ლოზანო
მსაჯი: რამირეს დომინგესი
17 000 მაყურებელი

### სევილია 1:0 რასინგი

1:0 კასკერო (32)
სევილია: ნოტარიო, ხ. ნავარო, დ. კასტედო, პაბლო ალფარო, ნიეგესი (ოსკარი 26), გალიარდო, ტომასი, სემესი, კასკერო (მარკოს ვიდალი 71), რეიესი (ტოედტლი 80), ანტონიტო
მწვრთნელი: ხოაკინ კაპაროსი
რასინგი: სებალოსი, სიეტესი, ნაფტი (მესიასი 46), მორა, ხუანმა, ისმაელი, მორანი, პინედა, ხ. გერერო (დიეგო ალონსო 63), რეგუერო (ბენაიუნი 62), მუნიტისი
მწვრთნელი: მანოლო პრესიადო
გაფრთხილება: ხუანმა, მუნიტისი, ნაფტი, ანტონიტო, ოსკარი, მორა
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი
35 000 მაყურებელი

### მალაგა 1:0 ოსასუნა

1:0 დარიო სილვა (69)
მალაგა: კონტრერასი, როტჩენ, ვალკარსე, ფ. სანსი, ხერარდო (მანუ 56), ხოსემი, მუსამპა, რომერო, სანდრო (მიგელ ანხელი 78), დარიო სილვა, დელი ვალდესი (ლეკო 87)
მწვრთნელი: ხუაკინ პეირო ლუკასი
ოსასუნა: სანზოლი, იანგუასი, მატეო, კრუჩაგა, რივერო (მუნიოსი 54), ანტონიო ლოპესი, ალფრედო (მალაბოსი 72), პუნიალი, მოა (ოჩოა 60), ივან როსადო, ალოიზი
მწვრთნელი: ხავიერ აგირე
გაფრთხილება: მატეო, რივერო, კრუჩაგა, რომერო, ვალკარსე
მსაჯი: ლოსანტოს ომარი
12 000 მაყურებელი

# რისი დამტკიცებაც გვინდოდა



REUTERS მასალებიდან

ატლეტიკო — ბილბაო. ხოსე მარიმ ბასკებს ჰეთ თრიკი შეუსრულა

### რაიო ვალეკანო 2:3 რეალი

0:1 რონალდო (15), 1:1 ასკოიტია (27), 1:2 რობერტო კარლოსი (67), 2:2 ხულიო ალვარესი (75პ), 2:3 ფიგუ (90)
რაიო ვალეკანო: ი. ეჩებერია, დორადო, კორინო, მორა, ონოპკო, მარიო, მაინსი, ასკოიტია (კამუნიასი 87), ხულიო ალვარესი (დე კინტანა 81), პერაგონი, ბოლო
მწვრთნელი: ფერნანდო ვასკესი
რეალი: კასილიასი, სალგადო, იერო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, კამბიასო (მორიენტესი 75), მაკელელე, სოლარი (მინამბრესი 62), ზიდანი (გუტი 31), რონალდო, ფიგუ
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე
გაფრთხილება: მორა, ონოპკო, კამბიასო, მაინსი, პერაგონი
მსაჯი: როდრიგეს სანტიაგო
16 500 მაყურებელი

### სოსიედადი 2:1 დეპორტივო

1:0 კოვაჩევიჩი (27), 1:1 ლუკე (39)
სოსიედადი: ვესტერველდი, არანსაბალი, შურერი, ლოპეს რეკარტე, ბორისი (არანბურუ 64), ხაბი ალონსო, ხაურეგი, დე პედრო (გაბილონდო 78), კარპინი, კოვაჩევიჩი (ხოხლოვი 86), ნიჰატი
მწვრთნელი: რეინალდ დენუე
დეპორტივო: ხუანმი, რომერო, ნაიბეტი (კაპდევილა 18), სეზარი (ექტორი 36), მაურო სილვა, ფრანი, სკალონი, სერხიო, ვიქტორი, მაკაი, ლუკე (დუშერი 75)
მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა
გაფრთხილება: ნიჰატი, ხაბი ალონსო, მაურო სილვა
მსაჯი: მედინა კანტალეხო
25 000 მაყურებელი

### ბარსელონა 1:0 ვილიარეალი

1:0 რიკელმე (75პ)
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პუიოლი, ფ. ნავარო, ხავი, კოკუ (რაიციგერი 84), გაბრი, მოტა (ოვერმარსი 60), მენდიეტა (სავიოლა 64), რიკელმე, კლუივერტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
ვილიარეალი: რეინა, ბელეტი, არუაბარენა, ბალესტეროსი, უნაი, ხორხე ლოპესი (ბერუე 60), ხოსიკო (კიკე მედინა 67), სენა, პალერმო, ვიქტორი, გიარი (არანდა 75)
მწვრთნელი: ბენიტო ფლორო
გაფრთხილება: უნაი, ნავარო, უნაი, სენა, კლუივერტი, გაბრი
გაძევება: უნაი (55)
მსაჯი: პუენტე ლეონი
66 741 მაყურებელი

### ვალენსია 1:1 ბეტისი

0:1 ასუნსაო (69), 1:1 აიმარი (81)
ვალენსია: კანისარესი, პელეგრინო (მისტა 81), აიალა, კარბონი, კური ტორესი (კილი გონსალესი 74), ალბელდა, ბარახა, რუფეტე, აიმარი, კარეუ (ანგულო 65), ვისენტე
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
ბეტისი: პრატსი, ლუის ფერნანდესი, ხუანიტო, რივასი, ასუნსაო, ვარელა, ფერნანდო (არზუ 64), კაპი, იტო, დენილსონი (კასასი 85), ხოაკინი (გუდიონსონი 88)
მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი
გაფრთხილება: აიალა, ვარელა
მსაჯი: პერეს ბურული
50 880 მაყურებელი

### უელვა 1:3 ვალიადოლიდი

0:1 ოლივერა (21), 0:2 პაჩონი (45), 0:3 მარიო (82), 1:3 ლორენი (84)
უელვა: სეზარი, ქაბინოლა, გალანი (მერმენი 46), ხ. გარსია (ხისკო 34), იაგო, არმონი, კუბილიო, ბენიტესი, ლორენი, კამაჩო (გალიეგო 62), რაულ მოლინა
მწვრთნელი: ლუკას ალკარასი
ვალიადოლიდი: ბიზარი, პენია, მარკოსი, ტორეს გომესი, მუსტაფა, დ. ჩირიჩი (ოსკარ სანჩესი 8), კოლსა, კამინერო (მარიო 46), მორე (ჩემა 66), პაჩონი, ოლივერა
მწვრთნელი: პეპე მორე
გაფრთხილება: ლორენი, კამაჩო, გალანი, ქაბინოლა, რაულ მოლინა, მუსტაფა
მსაჯი: რუბინოს პერესი
18 000 მაყურებელი

ისე ყველაფერი აგიხდეთ, როგორც ყველა თავისას ამტკიცებს: მადრიდის „ატლეტიკო" ამტკიცებს, რომ უფრეხბოდ ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, გრეგორიო მანსანო იმას, რომ ვალტერ პანდიანის იმედი ტყუილად არ აქვს, ხუან რომან რიკელმე იმას, რომ თუ ათამაშებენ, ან საგოლე პასი უნდა ჩააწოდოს ან თავად გაიტანოს, „ვალენსია" თამაშის ბოლო წუთებზე შემობრუნების გასაოცარ უნარს, რობერტო კარლოსი და ლუიშ ფიგუ ბრწყინვალე მეჯარიმეობას...

აგერ წინა ტურში არ იყო, „ბილბაომ" ისმაელ ურსაისის ბოლო წუთზე გატანილი გოლით რომ დაამარცხა „სელტა"? მაგრამ განა მხოლოდ ბასკები გაიტანენ ბოლო წუთზე — ამ ტურში მათ გაუტანეს, თან მაშინ, როცა ოთხმოცდაათს ხუთიოდე წუთი გადასცდენოდა. მადრიდელი ხოსე მარის ამ გვიანმა გოლმა კი „ატლეტიკოს" ცხრა მატჩში მეექვსე ფრე მოუტანა, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ტურის ამ ყველაზე უხვგოლიან მატჩში სულ ორი ფეხბურთელი გამოირჩა — ხოსე მარიმ და ისმაელ ურსაისმა ჰეთ თრიკები მიითვალეს. ისიც უნდა ითქვას, რომ ბილბაოელებმა აშკარად ვერ აუღეს ალღო მასპინძელთა კუთხურებს, რაკი ხოსე მარიმ სამიდან ორი გოლი სწორედ ივან სტანკოვიჩის კუთხურებს მიაყოლა.

ცხრა ტურის შემდეგ ასეთი ბრწყინვალე შედეგიანობა „რეალ სოსიედადს" 1982 წელსაც არ ჰქონია — მაშინ სანსებასტიანელები ჩემპიონები გახდნენ და ისტორია ხომ არ მეორდება? ბასკთა იუგოსლაველმა დარკო კოვაჩევიჩმა ვალერი კარპინის ხეირიანი პასი შეირგო და შორეულ ძელთან ძლიერად დასცხო. ეს გოლი მისთვის ამ სეზონში მეშვიდე გამოდგა ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, „სოსიედადის" ყოველი მესამე გოლი კოვაჩევიჩისაა. „დეპორტივომ" პირველი ტაიმის მიწურულს გაათანაბრა — ფრანმა და როი მაკაიმ მასპინძელთა დაცვა გაჭრეს და გადამწყვეტი დარტყმა „მალიორკადან" იღბლიანად გადაბირებულმა ალბერტო ლუკემ ითავა.

შესვენების მერე გამოსარჩევი არაფერი მომხდარა და ამგვარად, „სოსიედადმა" ლაუმარცხებელი სვლა განაგრძო, თან სამქულიანი უპირატესობაც შეინარჩუნა, რაკი მდევარმა „ვალენსიამაც" ვერ მოიგო.

„ვალენსია" — „ბეტისი" კარგი საცქერი თამაში გამოდგა, უფრო სტუმრები ყოჩაღობდნენ, განსაკუთრებით კი ფლანგოსნები, ხოაკინი და დენილსონი. საპასუხოდ იონ კარეუ იჩხვლიტებოდა, თუმცა შესვენებამდე გოლი არ გავიდა.

70-ე წუთზე კი ბეტისელმა მარკოს ასუნსაომ საჯარიმო დარტყმით ისტორიული გოლი შეაგდო. საქმე ის გახლავთ, რომ აქამდე სევილიელებს მთელი სამი წელი საჯარიმოდან ვერ გაეტანათ. ალსანიშნავია, რომ ამ მომენტისთვის უპირატესობა მასპინძელთა მხარეს იყო გადასული, რაც უმთავრესად პაბლო აიმარისა და რუბენ ბარახას დამსახურება გახლდათ, ხოლო არგენტინელმა ქულის გადარჩენაც შეძლო — ტანმორჩილობის მიუხედავად, თავით გაიტანა. ასე რომ, „ბეტისმა" ზედიზედ მეჩვიდმეტე მატჩი ვერ მოიგო „მესტალიაზე".

აი, „მალიორკამ" ზედიზედ მეექვსე მატჩში გაიმარჯვა და მეორეადგილოსან „ვალენსიას" ოდენ ბურთების უარესი შეფარდებითღა ჩამორჩება. ექვსმატჩიანი მოგებათა სერია კი კუნძულელებს ისტორიაში არასდროს ჰქონიათ. გრეგორიო მანსანოს იმაშიც გაუმართლა, რომ ალბერტო ლუკეს სანაცვლოდ „დეპორტივოს" ვალტერ პანდიანი წაჰგვარა — ურუგვაელმა წინა ტურში შესრულებულ ჰეთ თრიკს ახლა დუბლი მიამატა და სწორედ ეს ორი გოლი გამოდგა გადამწყვეტი „ალავესის" დასამარცხებლად.

ხოლო „ბარსელონა" თამაშის ნახევრისა და კიდევ ნახევრის ნახევრის მანძილზე ვერაფერს გახდა „ვილიარეალთან". სტუმრები ყოჩაღად იცავდნენ თავს, ერთ მომენტში მასპინძელთა საჯარიმოში ეგებ დამსახურებულ პენალტსაც ითხოვდნენ და მხოლოდ მას მერე გატყდნენ, რაც კაცნაკლულნი დარჩნენ. უნაის გაგდებას „ბარსელონას" გამოცოცხლება მოჰყვა, ამას კიდევ ხავიერ სავიოლას საპენალტედ წაქცევა და ხუან რიკელმეს ზუსტი დარტყმა. ამას ისიც მოჰყვა, რომ „ბარსა" ერთი ქულითღა ჩამორჩება „რეალს", ხოლო ლიდერ „სოსიედადს" ექვსითღა.

„ბარსელონა" „რეალზე" წინაც იქნებოდა, რომ არა ძველი ბარსელონელი ფიგუ. ერთი კვირის წინ ოცდაათს მიყრილმა პორტუგალიელმა წამატებულ დროში გაუტანა „რაიო ვალეკანოს" გამარჯვებისა. რეალელებმა მეტოქეს აჭამეს — იქამდე ფიგუმ რობერტო კარლოსს დაუგორა და ბრაზილიელმა დაბალ კუთხეში შეაგდო. ამ ჯერზეც თითქოს იგივეს აპირებდნენ, რობერტო კარლოსი გაექანა, მაგრამ ფიგუმ, მეკარისთვის მოულოდნელად, თავად გადაავლო ბურთი ცოცხალ კედელს. ამ ორის გოლებამდე ერთი ბურთი რონალდომაც გაიტანა უშორესი დარტყმით და საბოლოოდ „რეალის" სამმა გადასწონა „რაიოს" გატანილ ორ გოლს.

**გიორგი დარჯანია**

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| 1 | სოსიედადი | 9 | 6 | 3 | 0 | 21:13 | 8 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 12:8 | 4 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 9:5 | 4 | 10 |
| 2 | ვალენსია | 9 | 5 | 3 | 1 | 18:6 | 12 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:3 | 9 | 10 | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 3 | 8 |
| 3 | მალიორკა | 9 | 6 | 0 | 3 | 14:11 | 3 | 18 | 5 | 3 | 0 | 2 | 7:7 | 0 | 9 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 |
| 4 | სელტა | 9 | 5 | 2 | 2 | 12:6 | 6 | 17 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:2 | 4 | 9 |
| 5 | რეალი | 9 | 4 | 4 | 1 | 17:10 | 7 | 16 | 4 | 3 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 10 | 5 | 1 | 3 | 1 | 5:6 | -1 | 6 |
| 6 | ბარსელონა | 9 | 4 | 3 | 2 | 17:11 | 6 | 15 | 5 | 3 | 2 | 0 | 13:5 | 8 | 11 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 |
| 7 | მალაგა | 9 | 4 | 3 | 2 | 17:16 | 1 | 15 | 5 | 3 | 1 | 1 | 11:8 | 3 | 10 | 4 | 1 | 2 | 1 | 6:8 | -2 | 5 |
| 8 | ბეტისი | 9 | 3 | 5 | 1 | 17:10 | 7 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 7 | 5 | 1 | 4 | 0 | 10:8 | 2 | 7 |
| 9 | დეპორტივო | 9 | 4 | 2 | 3 | 12:13 | -1 | 14 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 4 | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 1 | 10 |
| 10 | ვალიადოლიდი | 9 | 4 | 1 | 4 | 11:12 | -1 | 13 | 4 | 2 | 1 | 1 | 5:5 | 0 | 7 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 |
| 11 | ატლეტიკო | 9 | 2 | 6 | 1 | 15:11 | 4 | 12 | 5 | 1 | 4 | 0 | 8:6 | 2 | 7 | 4 | 1 | 2 | 1 | 7:5 | 2 | 5 |
| 12 | რასინგი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 11 | 4 | 1 | 2 | 1 | 4:3 | 1 | 5 | 5 | 2 | 0 | 3 | 5:6 | -1 | 6 |
| 13 | სევილია | 9 | 2 | 4 | 3 | 7:8 | -1 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:4 | -2 | 2 |
| 14 | ბილბაო | 9 | 2 | 3 | 4 | 12:20 | -8 | 9 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:6 | -3 | 4 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:14 | -5 | 5 |
| 15 | რაიო | 9 | 2 | 2 | 5 | 12:17 | -5 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 10:10 | 0 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 3 |
| 16 | ალავესი | 9 | 2 | 2 | 5 | 11:21 | -10 | 8 | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | -1 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 7:16 | -9 | 4 |
| 17 | ვილიარეალი | 9 | 1 | 4 | 4 | 9:11 | -2 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 5:5 | 0 | 4 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 18 | ესპანიოლი | 9 | 2 | 1 | 6 | 7:14 | -7 | 7 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:4 | -1 | 4 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:10 | -6 | 3 |
| 19 | ოსასუნა | 9 | 1 | 2 | 6 | 10:18 | -8 | 5 | 4 | 1 | 0 | 3 | 5:7 | -2 | 3 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 2 |
| 20 | უელვა | 9 | 1 | 2 | 6 | 7:18 | -11 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | -7 | 1 | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 4 |

### X ტური

17 ნოემბერი

ბილბაო — რაიო ვალეკანო
ესპანიოლი — ატლეტიკო
ბეტისი — სელტა
ოსასუნა — ვალენსია
ვალიადოლიდი — მალაგა
ალავესი — უელვა
რასინგი — მალიორკა
ვილიარეალი — სევილია
დეპორტივო — ბარსელონა
რეალი — სოსიედადი

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მაკაი (დეპორტივო) | 7 |
| კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 7 |
| ხულიო ალვარესი (რაიო ვალეკანო) | 7 |
| ნიჰატი (სოსიედადი) | 6 |

## სეგუნდადივიზიონი

### X ტური

**ტენერიფე 0:0 ელჩე**

**კორდობა 1:0 ლეგანესი**
1:0 ალფონსო (63)

**ხეტაფე 4:2 ეიბარი**
1:0 ვიკარ დორადო (37), 1:1 ხული სანჩესი (39), 2:1 ალბერტო (50), 3:1 ვიკარ დორადო (52), 4:1 ბორხა (57), 4:2 სასიარი (83)

**ლევანტე 2:1 სპორტინგი**
1:0 ტოგორე (31), 1:1 დიასი (52), 2:1 ლიმონესი (86)

**ფეროლი 1:0 ნუმანსია**
1:0 პეზაროსი (48)

**მურსია 1:1 ხერესი**
0:1 კალე (42), 1:1 სეტვალსი (84)

**ოვიედო 2:2 ტერასა**
1:0 რუბენი (7პ.), 1:1 ბაბანგიდა (80), 1:2 ხუანხო (85), 2:2 გენი (90პ)

**პოლი ეხიდო 0:0 ლას პალმასი**

**სარაგოსა 1:0 ალმერია**
1:0 იორდი (86პ)

**სალამანკა 0:1 ალბასეტე**
0:1 ხესუს პერერა (79)

**კომპოსტელა 3:0 ბადახოსი**
1:0 ატუედო (54), 2:0 მაიკელი (61), 3:0 ლიმა (71პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერესი | 10 | 6 | 2 | 2 | 13:9 | 20 |
| ლევანტე | 10 | 5 | 4 | 1 | 22:13 | 19 |
| მურსია | 10 | 5 | 3 | 2 | 12:5 | 18 |
| ტერასა | 10 | 4 | 6 | 0 | 13:8 | 18 |
| სარაგოსა | 10 | 5 | 3 | 2 | 12:9 | 18 |
| ალბასეტე | 9 | 4 | 4 | 1 | 10:7 | 16 |
| პოლი ეხიდო | 10 | 4 | 4 | 2 | 11:9 | 16 |
| ლას პალმასი | 10 | 3 | 5 | 2 | 11:8 | 14 |
| ხეტაფე | 10 | 4 | 2 | 4 | 18:17 | 14 |
| ბადახოსი | 10 | 4 | 2 | 4 | 8:13 | 14 |
| ფეროლი | 10 | 3 | 4 | 3 | 10:11 | 13 |
| ელჩე | 10 | 2 | 6 | 2 | 10:8 | 12 |
| ტენერიფე | 10 | 2 | 6 | 2 | 11:10 | 12 |
| ეიბარი | 10 | 3 | 3 | 4 | 8:11 | 12 |
| სალამანკა | 10 | 3 | 2 | 5 | 6:8 | 11 |
| კომპოსტელა | 10 | 2 | 4 | 4 | 9:10 | 10 |
| კორდობა | 10 | 2 | 4 | 4 | 6:9 | 10 |
| ნუმანსია | 10 | 3 | 1 | 6 | 9:13 | 10 |
| ლეგანესი | 10 | 1 | 5 | 4 | 7:11 | 8 |
| ალმერია | 10 | 1 | 5 | 4 | 9:16 | 8 |
| სპორტინგი | 9 | 0 | 6 | 3 | 3:6 | 6 |
| ოვიედო | 10 | 1 | 3 | 6 | 11:18 | 6 |

# მილანი წუხს და უხარია



REUTERS მოწოდებული

ინტერი — უდინეზე. მილანელი მარკო მატერაცი დაიბნა: სად გაფრინდა ვინჩენცო იაკინტა?

**მილანში** უქმეები ჩაუმწარდათ. „ინტერმა“ „სან სიროზე“ „უდინეზეს“ უმასპინძლა და დამარცხდა, ხოლო ამ დროს „მილანმა“ ტურინში „იუვენტუსს“ ჩააკითხა და მანაც წააგო. ანგარიში ორივეგან 2:1 გახლდათ არამილანელთა სასარგებლოდ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძველისძველი ქალაქის „შავ-წითელ“ ნახევარს გულის სახარად, მხოლოდ „შავ-ლურჯი“ ნახევრის გაწბილება დარჩა და პირიქით. ხოლო, ყოველივე ეს, ცხრილში რიცხვებით თავისებურად აისახა — „ინტერი“ სამქულიანი უპირატესობით ველარ ლიდერობს და აღარც „მილანია“ მეორე ადგილზე. გარდა ამისა, მოგეხსენებათ, იყო სხვა მატჩებიც, რომელთაც მეცხრე ტურის შემდეგ გუნდების განლაგებაში, ბუნებრივია, თავისი კორექტივები შეიტანეს. კერძოდ, „კიევომ“, რომლის გადასარევ მეტსახელს, „მფრინავ ვირებს“ მოდი და ნუ მოიხსენიებ, „ატალანტას“ 4:1 აჯობა და მეოთხე ადგილზეა, ხოლო „ლაციომ“ „პარმასთან“ მოსალოდნელი უხვგოლიანი თამაშის ნაცვლად 0:0 ითამაშა და, იჯდეს ახლა მეხუთეზე.

„ინტერზე“ მოგახსენებდით... ასეთი ულამაზო და უფანტაზიო ფეხბურთი ექტორ რაულ კუპერის ისედაც გაკრიტიკებულ გუნდს, ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია. ანგარიში მართალია „შავ-ლურჯებმა“ გახსნეს — კრისტიან ვიერიმ მესამე წუთზე შეაგდო — მაგრამ დანიელმა ნახევარმცველმა, მარტინ იორგენსენმა 25 მეტრიდან საუცხოოდ გაქვითა. შესვენების შემდეგ მილანელებმა მასპინძლობისა და ლიდერობის გამართლება სცადეს, შეუტიეს, რათა მოეგოთ, ოღონდ საბოლოოდ წაგებულნი დარჩნენ — გამოცდილმა რობერტო მუციმ მოხერხებული კონტრშეტევა ზუსტი დარტყმით (თუმცა ბურთი ოდნავ აისხლიტა „ინტერის“ მცველმა ფრანჩესკო კოკომ) დაასრულა.

ხოლო „ლაციო“, რომლის ფინანსური მდგომარეობა ბოლოხანს შერყეული გახლავთ, იქნებ დარჩენილიყო კიდეც „პარმასთან“ შეხვედრაში გამარჯვებული, ორი მომენტი რომ არა: პირველი, 25-ე წუთზე „პარმას“ ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, ადრიანომ, სრულიად გაუგებარი მიზეზის გამო საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რის გამოც, პენალტი დაინიშნა. თერთმეტმეტრიანის დარტყმა იუგოსლაველმა სინიშა მიხაილოვიჩმა იტვირთა — მოგეხსენებათ, იგი უძლავრესი დარტყმებით გახლავთ ცნობილი, — მაგრამ ბურთს, ღონივრად ამოკვრის გარდა, თურმე დამიზნებაც სჭირდება. და, მეორე მომენტი: 36-ე წუთზე „ლაციოს“ ნახევარმცველმა, ფაბიო ლივერანიმ ბურთს ხელი მოჰკიდა და მეტოქე გუნდის მცველს, მატეო ფერარის სახეში სთხლიშა. ცნობისთვის: ამ მომენტამდე სულ ცოტა ხნით ადრე ფერარიმ თავური დაარტყა და „ლაციოს“ ძელი შეაზანზარა. ერთი სიტყვით, რას გაუგებ ფეხბურთელებს.

და თქვენი ნებართვით, „მფრინავ ვირებზეც“ ჩამოვაგდებთ სიტყვას. მათ, გეგონება, სერია „ა“-ში სულ წლიწადის და რამდენიმე თვის გუნდები არ ბრძანდებოდნენ, აუტსაიდერი „ატალანტა“ ისე დაიფრინეს, როგორც ძლიერებს შეჰფერით. ორი გოლი ფედერიკო კოსატომ გაიტანა. ეს გახლდათ ვერონელთა ზედიზედ მეოთხე გამარჯვება და, ამასთან დაკავშირებით, საუბრები იმის შესახებ, რომ ეს გუნდი ამ სეზონში შარშანდელზე მეტ სენსაციას მოახდენს, იტალიაში უკვე დაიწყეს.

„რომა“, ხან მომგები, ხან წამგები, ძლიერთან ძლიერი, სუსტთან სუსტი და ასე შემდეგ, პიაჩენცაში გახლდათ, რათა 1:1 ეთამაშა. ერთი სიტყვით, ფაბიო კაპელომ ვერაფრით მიაღწია, რომ მის შეგირდებს ზედიზედ რამდენიმე შეხვედრიანი ალმასვლა გამოეგლიჯათ სეზონისთვის ხელიდან. დაწინაურებით, „რომა“ დაწინაურდა, 26-ე წუთზე ანგარიში ანტონიო კასანომ გახსნა — კაფუმ კუთხური ჩააწოდა, კრისტიან პანუჩიმ ბურთი თავით დაავდო, ხოლო კასანომ იგი ბადეში გაგზავნა — მაგრამ 74-ე წუთზე ენცო მარესკამ ჯარიმიდან გაქვითა. ცნობისთვის: მანამდე „პიაჩენცამ“, კერძოდ კი დარიო უბნერმა პენალტი ვერ გაიტანა.

**ბაჩუნა ძიძია**

## იტალია

### სერია A. IX ტური

**იუვენტუსი 2:1 მილანი**

1:0 დი ვაიო (8), 2:0 ტურამი (21), 2:1 ბირლო (32პ)
იუვენტუსი: ბუფონი, ტურამი, ფერარა (ფრეზი 86), იულიანო (მორიეტი 69), ბირინდელი, კამორანეზი, ტაკინარდი, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო, დი ვაიო (ზალაიეტა 69)
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
მილანი: აბიატი, შიმიჩი, ნესტა, მალდინი, ძალაძე (კოსტაკურტა 46), ამბროზინი, პირლო (სერჯინიო 60), ზეედორფი, რუი კოშტა (შევჩენკო 74), რივალდო, ფ. ინძაგი
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
გაფრთხილება: იულიანო, ბირინდელი, ნესტა, რუი კოშტა, რივალდო
მსაჯი: პაპარესტა
60 000 მაყურებელი

**ინტერი 1:2 უდინეზე**

1:0 ვიერი (3), 1:1 იორგენსენი (25), 1:2 მუცი (54)
ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მატერაცი, კოკო, ს. კონსეისაო, დი ბიაჯო (ალმეიდა 69), ემრე, მორფეო (კრესპო 69), ვიერი, რეკობა
მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი
უდინეზე: დე სანქტისი, ბერტოტო, სენსინი, თ. მანფრედინი, გ. მარტინესი (ჯემიტი 34), როსიტო, დ. პიზარო, იორგენსენი, პიერი, იაკინტა (ბერტოტო 74), მუცი (იაკინტა 69)
მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი
გაფრთხილება: როსიტო, ბერტოტო, იაკინტა, კორდობა, ჯემიტი
მსაჯი: ფარინა
58 962 მაყურებელი

**ლაციო 0:0 პარმა**

მიხაილოვიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (23, ააცილა)
ლაციო: პერუცი, სტამი, ნესტო, მიხაილოვიჩი, პანკარო (სიმეონე 56), ფიორე (ლივერანი 69), დ. სტანკოვიჩი, ლივერანი, სეზარი, კორადი, კ. ლოპესი (კასტრომანი 90)
მწვრთნელი: რობერტო მანჩინი
პარმა: ფრეი, ბონერა, მ. კანავარო (დიანა 81), ფერარი, გრეშკო, ლამუში, დონატი, ბაროლე, ნაკატა (ბრეშიანო 61), ადრიანო (ჯილარდინო 76), მუტუ
მწვრთნელი: ჩეზარე პრანდელი
გაფრთხილება: ნესტო, მუტუ, მიხაილოვიჩი
გაძევება: ლივერანი (36)
მსაჯი: მესინა
40 000 მაყურებელი

**პიაჩენცა 1:1 რომა**

0:1 კასანო (26), 1:1 მარესკა (75)
უბნერმა ვერ გაიტანა პენალტი (40, ააცილა)
პიაჩენცა: გუარდალბენი, კარდონე, ლამაკი, მარონე (ტოსტო 52), კრისტანტე, რიზო (მიკელი 55), მარესკა, დი ფრანჩესკო, ტრამეძანი (კაზა 66), უბნერი, მონტანო
მწვრთნელი: ანდრეა ნოვოტნელი
რომა: ანტონიოლი, ძებინა, ალდაირი, ვ. სამუელი, პანუჩი, კაფუ, ტომასი, ემერსონი, გიგუ (დელვეკიო 74), ტოტი, ა. კასანო (მონტელა 79)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: კარდონე, გიგუ, კაზა
მსაჯი: კოლინა
11 000 მაყურებელი

**კიევო 4:1 ატალანტა**

0:1 საღა (40), 1:1 კოსატო (45), 2:1 ფრანჩესკინი (67), 3:1 პეროტა (85), 4:1 კოსატო (87)
კიევო: ლუპატელი, ფ. მორო, ლეგროტალიე, დონა, ს. ლანა, ფ. კოსატო, პეროტა, კორინი, დ. ფრანჩესკინი, მარაცინა (მელისიერი 78), ბიერჰოფი (დ. ანდერსონი 64; პერარები 90)
მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი
ატალანტა: ტაიბი, ნატალი, კარერა (ფოლიო 77), საღა, დ. ძენონი, დაბო, ერნეტა (ლოლიდისი 83), ძაური, დონი, გაუტიერი, ბიანკი
მწვრთნელი: ჯოვანი ვავასორი
გაფრთხილება: ლეგროტალიე, დონი, გაუტიერი, დონი
გაძევება: დონი (90)
მსაჯი: მორგანტი
13 202 მაყურებელი

**ბოლონია 1:0 კომო**

1:0 სინიორი (74პ)
ბოლონია: ჯ. პალიუკა, ძაკარდო (ვანოლი 70), ძანი, მ. კასტელინი, პარამატი, ნერვო (ფრარა 44), კ. ამორუზო, ლ. კოლუჩი, ბელუჩი (სალვეტი 70), სინიორი, ხ. კრუზი
მწვრთნელი: ფრანჩესკო გვიდოლინი
კომო: ფერონი, გრეგორი, პადალინო, ბრევა, სტელინი, ბინოტო (ფუარესი 64), კოც, ალეგრეტი, ბენინი (ბიელანოვიჩი 77), კარბონე (დე ჩეზარე 46), გოდეაში
მწვრთნელი: ლორის დომინისინი
გაფრთხილება: ბინოტო, გრეგორი, კოც, დე ჩეზარე
მსაჯი: ტრეფოლონე
20 000 მაყურებელი

**ბრეშა 0:2 ემპოლი**

0:1 ბუში (82), 0:2 დი ნატალე (90)
ბაჯომ ვერ გაიტანა პენალტი (85, მეკარე)
ბრეშა: მიჩილო (სრნიჩეკი 76), ჟ. მარტინესი, პეტრუცი, დაინელი (ალბერტი 83), სერიჩი, ა. ფილიპინი, პიპა, მატუზალემი, ბაჯიო, რ. ბაჯო, ტარე (დელ ნერო 48)
მწვრთნელი: კარლო მაცონე
ემპოლი: ბერტა, ბელერი, კრიბარი, ლუკინი, კუპი, ჯამპიერეტი, გრელა, დი ნატალე (ფიჩინი 90), ვანიგლი (კაპელინი 69), როკი, ტავანო (ბუში 66)
მწვრთნელი: სილვიო ბალდინი
გაფრთხილება: ბელერი, სერიჩი, ვანიგლი, ბაჯიო, ლუკინი, ფილიპინი, დაინელი
გაძევება: ფილიპინი (87)
მსაჯი: დე სანქტისი
16 000 მაყურებელი

**რეჯინა 0:1 მოდენა**

0:1 პაზინი (80)
რეჯინა: კასტელაცი, ე. ფრანჩესკინი, ვარგასი, პიერინი, მესტო (დი მიკელე 46), პაროდესი, მოცარტი, მორაბიტო, კოცა (რაზტელი 70), ნაკამურა, სავოლდი
მწვრთნელი: ლუიჯი დე კანიო
მოდენა: ბალოტა, მ. მაიერი, ჩევოლი, ბალესტრი, პონცო, ჯ. კოლუჩი, მილანეტო, ალბინო (მილანესე 62), მაური, სკული (პაზინი 73), დ. კამარა (ტალდო 62)
მწვრთნელი: ჯოვანი დე ბიაზი
გაფრთხილება: ჩევოლი
მსაჯი: როდომონტი
23 800 მაყურებელი

**პერუჯა 2:1 ტორინო**

1:0 კარამელი (37), 1:1 ფერანტე (80), 2:1 ზე მარია (87პ)
პერუჯა: ს. როსი, რეზაევი, დი ლორეტო, მილანეზე, ზე მარია, ლ. პალიუკა (კონტი 79), ბლაზი (ფუზანი 16), ობოდო, გროსო, კარამელი (გრიზასი 73), მიკოლი
მწვრთნელი: სერსე კოზმი
ტორინო: ბუჩი, დელი კარი (ლ. გარსია 49), გალანტე, მეცანი, ოსმანოვსკი (მაგალიანესი 57), დე ასენტისი, კონტიკო, ვერგასოლა (სკარკელი 78), ჰ. კასტელინი, კ. ლუკარელი, ფერანტე
მწვრთნელი: რენცო ულივიერი
გაფრთხილება: კონტიკო, ვერგასოლა, გროსო, მილანეზე, ლუკარელი, ბუჩი
მსაჯი: პალანზა
10 000 მაყურებელი

| № | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ინტერი | 9 | 7 | 1 | 1 | 19:9 | 10 | 22 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 3 | 10 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:5 | 7 | 12 |
| 2 იუვენტუსი | 9 | 6 | 3 | 0 | 14:5 | 9 | 21 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:4 | 5 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:1 | 4 | 10 |
| 3 მილანი | 9 | 6 | 1 | 2 | 23:7 | 16 | 19 | 4 | 4 | 0 | 0 | 12:0 | 12 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 7 |
| 4 კიევო | 9 | 6 | 0 | 3 | 18:10 | 8 | 18 | 5 | 4 | 0 | 1 | 13:5 | 8 | 12 | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 0 | 6 |
| 5 ლაციო | 9 | 5 | 3 | 1 | 15:7 | 8 | 18 | 5 | 1 | 3 | 1 | 8:6 | 2 | 6 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 12 |
| 6 რომა | 9 | 4 | 3 | 2 | 19:14 | 5 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 9:6 | 3 | 7 | 5 | 2 | 2 | 1 | 10:8 | 2 | 8 |
| 7 ბოლონია | 9 | 4 | 3 | 2 | 10:7 | 3 | 15 | 4 | 4 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 12 | 5 | 0 | 3 | 2 | 3:6 | -3 | 3 |
| 8 მოდენა | 9 | 5 | 0 | 4 | 10:12 | -2 | 15 | 4 | 2 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 6 | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 9 |
| 9 პარმა | 9 | 3 | 4 | 2 | 14:12 | 2 | 13 | 5 | 3 | 1 | 1 | 10:7 | 3 | 10 | 4 | 0 | 3 | 1 | 4:5 | -1 | 3 |
| 10 ემპოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:13 | 1 | 13 | 5 | 0 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 1 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 7 | 12 |
| 11 უდინეზე | 9 | 3 | 2 | 4 | 6:10 | -4 | 11 | 4 | 2 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | -6 | 3 |
| 12 პერუჯა | 9 | 3 | 2 | 4 | 11:17 | -6 | 11 | 4 | 3 | 0 | 1 | 7:4 | 3 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 4:13 | -9 | 2 |
| 13 ბრეშა | 9 | 2 | 2 | 5 | 13:18 | -5 | 8 | 4 | 0 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 1 | 5 | 2 | 1 | 2 | 9:10 | -1 | 7 |
| 14 პიაჩენცა | 9 | 2 | 2 | 5 | 8:13 | -5 | 8 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:8 | -3 | 4 | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 4 |
| 15 ტორინო | 9 | 2 | 0 | 7 | 6:17 | -11 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:13 | -10 | 0 |
| 16 რეჯინა | 9 | 1 | 2 | 6 | 6:15 | -9 | 5 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 | 4 | 0 | 1 | 3 | 1:6 | -5 | 1 |
| 17 კომო | 9 | 0 | 4 | 5 | 5:13 | -8 | 4 | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | -4 | 2 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | -4 | 2 |
| 18 ატალანტა | 9 | 1 | 1 | 7 | 8:20 | -12 | 4 | 5 | 1 | 1 | 3 | 6:10 | -4 | 4 | 4 | 0 | 0 | 4 | 2:10 | -8 | 0 |

### X ტური

17 ნოემბერი

ატალანტა - ბრეშა
ბოლონია - პერუჯა
კომო - ლაციო
ემპოლი - რეჯინა
მილანი - პარმა
მოდენა - პიაჩენცა
რომა - ინტერი
ტორინო - იუვენტუსი
უდინეზე - კიევო

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ტოტი (რომა) | 8 |
| ვიერი (ინტერი) | 8 |
| ფ. ინძაგი (მილანი) | 7 |
| დელ პიერო (იუვენტუსი) | 7 |
| რ. ბაჯო (ბრეშა) | 5 |
| დი ნატალე (ემპოლი) | 5 |

### სერია B

XI ტური

**ასკოლი 0:0 ვერონა**

**კოზენცა 1:1 კალიარი**

1:0 გვიდონი (9), 1:1 ესპოზიტო (90)

**ჯენოა 3:1 ნაპოლი**

1:0 კარბონელი (25), 1:1 დიონიჯი (29), 2:1 ბუზონი (62), 3:1 გაბსი (90)

**ლეჩე 0:0 ტერნანა**

**მესინა 2:1 ლივორნო**

1:0 სული (32), 2:0 ძამპანი (62), 2:1 მეცანოტე (90)

**პალერმო 0:2 ვენეცია**

0:1 ბრიჩიჩი (48), 0:2 პოჯი (90)

**სალერნიტანა 0:1 სამპდორია**

0:1 ფლაკი (14)

**ტრიესტინა 3:2 ანკონა**

0:1 განცი (8), 1:1 დაგა (10), 2:1 მალტალიატი (40პ.), 3:1 ძანინი (74), 3:2 პეროვანი (89)

**ვიჩენცა 1:1 ბარი**

1:0 მარკოლინი (46), 1:1 ზაპატა (73)

**სიენა — კატანია**

წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 10 | 5 | 5 | 0 | 14:7 | 20 |
| კალიარი | 10 | 5 | 4 | 1 | 11:7 | 19 |
| ტერნანა | 10 | 5 | 3 | 2 | 10:6 | 18 |
| ტრიესტინა | 10 | 4 | 4 | 2 | 14:10 | 16 |
| პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 13:14 | 16 |
| ანკონა | 10 | 3 | 6 | 1 | 15:11 | 15 |
| ლეჩე | 10 | 3 | 6 | 1 | 12:9 | 15 |
| ლივორნო | 10 | 5 | 0 | 5 | 11:9 | 15 |
| სიენა | 9 | 3 | 5 | 1 | 6:4 | 14 |
| ასკოლი | 10 | 3 | 4 | 3 | 7:7 | 13 |
| ბარი | 10 | 2 | 6 | 2 | 8:6 | 12 |
| ჯენოა | 10 | 3 | 3 | 4 | 10:9 | 12 |
| ვენეცია | 10 | 3 | 3 | 4 | 9:11 | 12 |
| მესინა | 10 | 3 | 2 | 5 | 12:14 | 11 |
| კოზენცა | 10 | 3 | 2 | 5 | 8:11 | 11 |
| ვერონა | 10 | 2 | 4 | 4 | 12:12 | 10 |
| ნაპოლი | 10 | 2 | 4 | 4 | 14:16 | 10 |
| კატანია | 9 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| ვიჩენცა | 10 | 1 | 5 | 4 | 12:18 | 8 |
| სალერნიტანა | 10 | 2 | 0 | 8 | 8:18 | 6 |

### სერია C1/A

მე-11 ტური: ალბინოლეფე — პრო პატრია 2:0; კარარეზე — ალძანო 0:0; ლუკეზე — არეცო 1:1; ლუმეცანე — პიზა 2:2; პადოვა — ჩიტადელა 3:2; პრატო — ტრევიზო 2:1; რეჯანა — პისტოიეზე 3:3; სპალ — ჩეზენა 0:0; ვარეზე — სპეცია 1:2

### სერია C1/B

მე-11 ტური: აველინო — პესკარა 2:0; ჯულიანოვა — ტარანტო 1:1; ლანჩანო — კროტონე 1:0; მარტინა — ბენევენტო 2:0; ტორესი — ტერამო 1:2; სორა — აკილა 1:1; პესარო — პატერნო 2:1; ვიტერბეზე — ფერმანა 4:1. კროტო — სამბენედეტეზე წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-16 გვერდზე)

# იტალიის ჩემპიონატი

## მერვე ტურის მატჩი

### იუვენტუსი 2:1 მილანი

ახალ კალაძე:45 წუთი



REUTERS

ლილიან ტურამის დარტყმული რუი კოშტასაც გაუძვრა და კრისტიან აბიატისაც

## ერთადერთი დასკვნა

### უბრალოდ ცუდი თამაში

ბევრისთვის მოულოდნელად მილანმა" ტურინში დაამუხრუჭა. ამ სეზონში მილანელთათვის ეს პირველი მარცხი სულაც არ იყო, თუმც ყველაზე სუსტად ნაღდად „იუვენტუსთან" ითამაშეს. რაოდენ არასასიამოვნოც უნდა იყოს, თანაგუნდელთაგან ყველაზე უსუსურად ქართველი კახა კალაძე გამოიყურებოდა, რომელსაც იტალიურმა გაზეთებმა ძალიან დაბალი შეფასებები დაუწერეს: „კორიერე დელო სპორტმა" 5, „ტუტოსპორტმა" 4,5, „ლა რეპუბლიკამ" კი საერთოდ 4-იანი აკმარა.

საგულისხმოა ისიც, რომ ორივე გოლი ტურინელებმა სწორედ კახა კალაძის ფლანგიდან გაუტანეს სტუმრებს. კარლო ანჩელოტიმაც ქართველი მცველი შესვენებაზე ვეტერანი ალესანდრო კოსტაკურტათი შეცვალა, თუმც გოლებამდე უხეშად შეცდა ანდრეა პირლოც...

ნამატჩევს კალაძემ ჟურნალისტებს გულისტკივილი გაუზიარა: „ვფიქრობ, „იუვენტუსმა" უფრო ტაქტიკურად გვაჯობა. მასპინძლები კონტრშეტევებზე თამაშობდნენ და ამას ძალიან მწვავედ აკეთებდნენ. ზოგჯერ ხდება, რომ თამაში უბრალოდ არ გამოგდის, ამიტომ ზედმეტი აჟიოტაჟის ატეხვა არ ღირს. მთავარი ბრძოლები წინაა. ლიდერს ბევრად არ ჩამოვრჩებით. მთავარია, წაგებიდან, სასარგებლო დასკვნები გავაკეთოთ."

კლარენს ზეედორფი: „მეტოქეს ყველაფრის უფლება მივეცით. სამწუხაროა, რომ მატჩი ჩვენივე შეცდომების გამო წავაგეთ. ტურინელებს ბევრ თავისუფალ ზონებს ვუტოვებდით და სახიფათო მომენტების შექმნის საშუალებას ვაძლევდით. ისე, ეს ერთი მხრივ კარგიცაა, რადგან ერთადერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება — უბრალოდ, ამდენი შეცდომა აღარ უნდა გავიმეოროთ. არა უშავს, ეს მხოლოდ ერთი მატჩი იყო, სეზონი კი გრძელდება. ყველაფერი ჩვენს ხელშია."

კარლო ანჩელოტი: „პირველი ტაიმი კოშმარი იყო. მერე თამაში გავათანაბრეთ და ერთი გოლიც გავქვითეთ, მაგრამ მეტი ველარ შევძელით. პირლოს მდგომარეობაც მესმის, მაგრამ მის დადანაშაულებას სულაც არ ვაპირებ. თამაში ყველამ წააგო. ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა. მალე მდგომარეობას გამოვასწორებთ."

**ბახა შალამბერიძე**

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XIV ტური

**რეინჯერსი 2:1 ჰიბერნიანი**

1:0 მოლსი (11), 2:0 არველაძე (36), 2:1 მაკმანუსი (45)

რეინჯერსი: კლოსი, მორის როსი, მალკოლმი, ლ. ამორუზო (კონტერმანი 52), ნუმანი, რიკსენი, ბ. ფერგიუსონი, არტეტა (ს. ჰიუზი 58), კანიჯა (ლატაპი 68), მოლსი, შ. არველაძე

მწვრთნელი: ალექს მაკლიში

მსაჯი: მაკკარი

48 798 მაყურებელი

**დანდი იუნ. 0:2 სელტიკი**

0:1 ჰარტსონი (14), 0:2 სატონი (88)

**ჰარტსი 0:0 აბერდინი**

**ლივინგსტონი 3:0 პარტიკი**

1:0 დადენი (47), 2:0 ქუარითუხი (61), 3:0 ბინგემი (69)

**მაზერუელი 0:1 კილმარნოკი**

0:1 კ. ბოიდი (90)

**დანდი — დანფერმლაინი**

დღეს გაიმართება

**ზოგადად** რომ ვთქვათ, შოტლანდიაში დიდად მნიშვნელოვანი ამბები არ მომხდარა — „რეინჯერსმაც" და „სელტიკმაც" მორიგი სამი ქულა მიითვალეს, თუმც გაჭირვებით.

ჩვენთვის კი მნიშვნელოვანი ისაა, რომ ტრავმის შემდეგ „რეინჯერსს" შოთა არველაძე დაუბრუნდა და გოლიც გაიტანა.

„სელტიკმა" იომა, იჯახირა და ისე გააკრა ბეჭებზე „დანდი იუნაიტედი". ეგაა, ჰენრიკ ლარსონმა გოლი ვერ მიითვალა.

პირველი წუთები მასპინძლების იყო, მაგრამ სელტიკელთა მეკარე რობ დუგლასი სამკვდროდ იდგა. თუმც მე-14 წუთზე ჯონ ჰარტსონმა სტივ გაპის ჩაწოდებულს საგოლე თავური მიაყოლა და „სელტიკიც" დაწინაურდა.

მერე ორმხრივი იერიშები წავიდა, უფრო მეტს და მწვავედ კი „იუნაიტედი" უტევდა.

მაგრამ კლასმა თავისი გაიტანა — მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე ალან ტომპსონის პასით კრის სატონმაც თავურით გაიტანა.

აიბროქსული მატჩის პირველი ტაიმი საამო საცქერი გამომდგარა და ამაში თავისი წვლილი არველაძემაც შეიტანა.

პირველი ხიფათი მიხაელ მოლსმა შექმნა, მერე ქართველის დარტყმა მოიგერია „ჰიბერნიანის" მეკარე ნიკ კოლგანმა.

საგოლე კომბინაცია შოთამ წამოიწყო, მარჯვენა ფლანგზე ფერნანდო რიკსენი გაიყვანა, იმან კი კარის გასწვრივ ისე დაუგორა ბურთი მოლსს, რომ არგატანა წარმოუდგენელი იყო.

## ცეკვა ქუსლით



შოთა არველაძემ ამ სეზონში მეექვსე რეინჯერსული გოლი გაიტანა

ჰოლანდიელ ფორვარდს კვლავ უნდა შეეგდო, მაგრამ როცა არველაძისგან მიიღო პასი, მსაჯმა საეჭვო თამაშგარე დააფიქსირა.

შემდეგ კლაუდიო კანიჯას ჯერი დადგა. არგენტინელმა მარჯვენა ფლანგიდან შეუტია, დასარტყმელ პოზიციაზე გაიჭრა და დაარტყა კიდეც — მეკარის მიერ მოგერიებული ბურთი შოთას მიუვიდა, რომელმაც ცეკვის მაგვარი მოძრაობით, ქუსლით გაიტანა — ასე იუწყება „რეინჯერსის" ვებ-გვერდი.

მეორე ტაიმში კი „რეინჯერსი" გასავათდა და მთელი ჯაფა დაცვას დაადგა. ალბათ ამიტომაც, აიბროქსელებმა მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მცველი მორის როსი დაასახელეს.

**დავით თამართმილაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 14 | 12 | 2 | 0 | 43:8 | 38 |
| სელტიკი | 14 | 12 | 1 | 1 | 42:8 | 37 |
| ჰართსი | 14 | 5 | 6 | 3 | 23:18 | 21 |
| დანფერმლაინი | 13 | 6 | 2 | 5 | 23:26 | 20 |
| ჰიბერნიანი | 14 | 6 | 0 | 8 | 19:23 | 18 |
| დანდი | 13 | 4 | 5 | 4 | 13:18 | 17 |
| აბერდინი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:24 | 16 |
| კილმარნოკი | 14 | 4 | 4 | 6 | 14:27 | 16 |
| ლივინგსტონი | 14 | 4 | 3 | 7 | 21:21 | 15 |
| პარტიკ თისლი | 14 | 2 | 6 | 6 | 11:22 | 12 |
| დანდი იუნ. | 14 | 2 | 4 | 8 | 11:25 | 10 |
| მოზერუელი | 14 | 2 | 3 | 9 | 14:27 | 9 |

### პირველი დივიზიონი

მე-13 ტური:ეარი — ქუინ ოფ საუთი 0:1; ფოლკირკი — ალოა 3:0; როს ქაუნთი — ინვერნესი 0:2; სტ. ჯონსტონი — არბროთი 2:0; სტ. მირენი — კლაიდი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფოლკირკი | 13 | 9 | 3 | 1 | 31:12 | 30 |
| ინვერნესი | 13 | 9 | 1 | 3 | 31:9 | 28 |
| სტ. ჯონსტონი | 13 | 7 | 3 | 3 | 15:6 | 24 |
| კლაიდი | 13 | 6 | 4 | 3 | 20:13 | 22 |
| ეარი | 13 | 4 | 4 | 5 | 10:15 | 16 |
| ქუინ ოფ საუთ | 13 | 4 | 3 | 6 | 13:18 | 15 |
| როს ქაუნთი | 13 | 3 | 4 | 6 | 15:15 | 13 |
| სტ. მირენი | 13 | 3 | 4 | 6 | 18:30 | 13 |
| არბროთი | 13 | 2 | 4 | 7 | 11:23 | 10 |
| ალოა | 13 | 2 | 2 | 9 | 5:28 | 8 |

### მეორე დივიზიონი

მე-13 ტური: ერდრი — დამბარტონი 0:1; ბერიკი — ჰამილტონი 2:1; ფორფარი — ბრეჩინი 2:1; რეით როვერსი — ქოუდენბითი 4:1; სტრენრარი — სტენჰაუზმური 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეით როვერსი | 13 | 7 | 4 | 2 | 22:12 | 25 |
| სტრენრარი | 13 | 7 | 2 | 4 | 25:19 | 23 |
| ბერიკი | 13 | 7 | 1 | 5 | 22:21 | 22 |
| ბრეჩინი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:17 | 20 |
| ფორფარი | 13 | 5 | 2 | 6 | 16:16 | 17 |
| დამბარტონი | 13 | 4 | 4 | 5 | 14:15 | 16 |
